

619  
1965



ქართული  
ბიბლიოთეკა



**ქართული**

№ 12 დეკემბერი 1965



სატრიკოტაჟო ფაბრიკის საქსოვი  
სამქრო

ფოტო. ივ. თურქიანი

პროლეტარებო ავალა ქვეყნისა, შვერდით!

# ეკოე


№ 12 (173) დეკემბერი, 1965 წ.  
გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი

# ტიტმა

და

# თაოსნობა



ქარბინული  
ტიტმა

ჭიშკარი ფართოა, მაღალი, შავ-თეთრად შედები-  
ლი. ზაფხულში მის იქით ჭადრები და აკაციები  
შრიანდები და ეს ჭიშკარიც პარკში შესასვლელი  
გეგონებით, მაგრამ ახლა ზამთარს ხეები გაუძარ-  
ცვავს და შიშველ ტოტებში შორიდანვე მოჩანს  
ორ-სამსართულიანი უზარმაზარი შენობები, შენო-  
ბების წინ — მსუბუქი და სატვირთო მანქანები,  
რალაც ვეებერთელა ყუთები და შეკვრები.

ყველაფერი ეს თბილისის სართავ-სატრიკოტაუო  
კომბინატია, ხოლო ის ქალიშვილები, რომლებიც  
ამ მანქანებთან და ყუთებთან ფუსფუსებენ, ამ კო-  
მბინატის მუშები და ინჟინრები არიან.

ჭიშკარი დინჯად, აუტკარებლად იღება, რო-  
გორც ძველ ციხე-სიმაგრეებში იცოდნენ ხოლმე.

ეზო კი, როგორც მოგახსენეთ, ნამდვილად პარ-  
კსა ჰგავს, გაზონებითა და ხეივანებით დამშვენ-  
ბულს; აქ სპორტული მოედნებიცაა, სადაც ახლა  
ფრენბურთის გახურებული თამაშია. დეკემბერია,  
ყინავს, მოთამაშეები კი ტრუსების ამარა დარბიან,  
კანჭებსა და ლოყებზე ციცხლი მოსდებიან.

ყოველივე ამის შემყურე ხალხიან გუნებაზე  
დგები, გინდა ასევე კოტად და ლამაზად იყოს  
საქმე აწყობილი ამ ვეება კორპუსებშიც, საიდანაც  
სართავი და საქსოვი ჩარხების მრავალხმიანი რიხ-  
რიხი მოისმის.

მართლაც პირველივე ცნობები, რომლებსაც  
თქვენ აქ მიიღებთ, გაფიქრებინებთ იმას, რომ კომ-  
ბინატში ყველაფერი რიგზეა. ყველაფერი თავის  
გზით მიდის.

ხუთი ათასამდე კაცი მუშაობს აქ და ვისაც შე-  
ვეკითხეთ, ყველამ გვითხრა, რომ ამ უზარმაზარმა  
კოლექტივმა შვიდწლედის გეგმა ჯერ კიდევ სამი  
თვის წინათ შეასრულა, წლის ბოლოს სახელმწი-  
ფოს გეგმის ზევით ორი მილიონი მანეთის პროდუ-  
ქცია მისცა, რომ შვიდწლედის გეგმით დაგრო-  
ვებამ უკვე რამდენიმე თვის წინათ მილიონ-ნახე-  
ვარ მანეთს გადააჭარბა, რომ გაუმჯობესდა ნარ-  
თისა და თეთრეულის ხარისხი, გადიდა ბამბიდან  
ნართის გამოსავლიანობა. დაიზოგა ელექტროენერ-  
გია და სხვა სათბობ-საწვავი და ა. შ. ასეთივე ცნო-  
ბები მოგვცა კომბინატის დირექტორმა გიორგი შა-  
რიქაძემ. მაგრამ სჯობია ჩვენი თვალთ ენახოთ  
ყველაფერი.

კომბინატის დათვალეობა სატრიკოტაუო ფაბ-  
რიკიდან დაიწყო. კომბინატში ეს ფაბრიკა საუ-  
კეთესოა და, როგორც სხვაგან, აქაც ცდილობენ  
სტუმარს უპირველესად თავისი კარგი აჩვენონ.

გრძელი და ვიწრო დერეფნიდან ვრცელ, სუფთა  
და გაბლვრიალებულ საქსოვ საამქროში შევე-  
დით.

კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილე ევ-  
გენია ინაშვილი, რომელიც ამ სატრიკოტაუო ფაბ-  
რიკას ხელმძღვანელობს, წინ მიგვიძღვის და ცდი-  
ლობს ყველაფერი გაგვაცნოს, განგვიმარტოს. ამ  
საამქროში იქსოვება ვისკოზა და კაპრონიო, გვე-  
უბნება, გვეუბნება კი არა, გვიყვირებს, ისეთი რი-  
ხინ-რიხინი გააქვთ ჩარხებს. აქვე, მრგვალსაქსოვ  
მანქანებზე მზადდება ლავსანის, ბამბისა და შალის  
ქსოვილები. ეს ქსოვილები შემდეგ დაააქვთ მე-  
ზობელ სამღებრო საამქროში, სადაც თითქმის ყვე-  
ლა სამუშაო მექანიზებულია. ქსოვილის შეღებვას,  
გარეცხვას, გაშრობას, გაუთოვებასა და მასზე ხაოს  
ამოყვანას თვითონ მანქანები აწარმოებენ. უკვე  
გამზადებული ქსოვილი სამკერვალო საამქროში  
მიდის და საბოლოოდ იღებს იმ სახეს და ფორმას,  
რომლითაც ჩვენ, მყიდველები, ადვილად გამოვი-  
ცნობთ ხოლმე სართავ-სატრიკოტაუო კომბინატში  
დამზადებულ მამაკაცის პერანგებს, ქალის გარნი-  
ტურებს, ბავშვთა ტანსაცმელს, საცვლებს და ა. შ.

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით უცნაური  
ქსოვილის მამაკაცის პერანგები იპყრობენ. ევგენია  
გვეუბნება, რომ ეს ნაწარმი ახალი მასალის — ლა-  
ვსანისა და ბურდესუას (ბუნებრივი აბრეშუმის  
ნარჩენის). ნარევისაგან არის დამზადებული. მისი  
ნართი შემუშავებულია თბილისის საფეიქრო სამე-  
ცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ და პირვე-  
ლად სწორედ სატრიკოტაუო ფაბრიკამ აითვისა;  
ამასთან, ეს ქსოვილი პირველი საბჭოთა ქსოვი-  
ლია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო სტანდარ-  
ტების დონეზე დადგა.

— ჩვენი სურვილია, — გვითხრა ევგენია ინაშ-  
ვილმა, — რომ ყოველი ჩვენი ნაწარმი თავისი უაი-  
დის არც ერთ ნაწარმს არ ჩამოუვარდეს მსოფლი-  
ოში.

საუცხოო სურვილია, მაგრამ, როგორც იტყვიან  
ხოლმე, მართო სურვილებით შორს ვერ წახვალ.  
სატრიკოტაუო ფაბრიკას კი ამ მხრივ ჯერ კიდევ  
ბევრი რამ უშლის ხელს. აი თუნდაც ხაოს ამომუ-  
ვანი მანქანების უქმარობა. ფაბრიკაში მხოლოდ  
ორი ასეთი მანქანა დგას; ხაოიან ქსოვილზე დიდი  
მრთხოვნილებაა. ეს ორი მანქანა კი, დღე-ღამის  
განმავლობაში მუშაობის მიუხედავად, ვერ აკმა-  
ყოფილებს ამ მრთხოვნილებას. ფაბრიკის ხელმძღ-  
ვანელობა დიდი ხანია მოითხოვს თუნდაც ერთი

სართავი ფაბრიკა. ახალი დაზგა  
„სართავ-საგრები—100“.

მანქანის დამატებას, მაგრამ დღემდე ვერაფერი გა-  
უწყვია.

მეორე პრობლემა საღებავების ხარისხია. ვინ არ  
იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქსო-  
ვილის არა მარტო გემოვნებით, არამედ ხარის-  
ხიანად შეღებვასაც. რაც უნდა ძვირფასი და გამ-  
ძლე იყოს ეს ქსოვილი, თუ ფერი არ უფარვა, კაცს  
თოფის სასროლვეც ვერ მიიზიდავს. ამ ფაბრიკის  
ბევრ ნაწარმს კი პირველივე გარეცხვის შემდეგ  
ფერი გადასდის. მომხმარებლებიც, რა თქმა უნდა,  
უქმყოფილებს გამოსტკვამენ. მიზეზი თბილისუ-  
რი საღებავებია, რომლებიც, როგორც ფაბრიკაში  
გვითხრეს, თავიანთი ხარისხით ბევრად ჩამორჩე-  
ბიან იმპორტულ საღებავებს. რატომ? იქნებ უფრო  
ღრმად ჩაუფიქრდნენ ამას ისინი, ვისაც ამ საქმის  
მოგვარება ევალებათ!

არ ვარგა ტრიკოტაუის ნაწარმის შესაფუთი მუ-  
ყაოს კოლოფები. ეს კოლოფები მეტად უხეში და  
ულამაზაოა და მარტო თავისი გაფორმებითაც კი  
კაცს უიღვის ყოველგვარ სურვილს დააკარგინებს.  
თვალში გეცემათ ის ამბავიც, რომ აქ შეფუთვაც  
და შეფუთული ნაწარმის საწყობში გადატანაც ჯე-  
რჯერობით ხელით ხდება. მაშინ როცა ამ სამუშაო-  
ების მექანიზირება სრულიადაც არ წარმოადგენს  
დიდ სიძნელეს.

— ვუშვებთ ქალის კაპრონის ჯემპრებს, — ამ-  
ბობს ინაშვილი, — ასეთივე ჯემპრების წარმოება  
აქვს დაგეგმილი თბილისის საგალანტერიო ფაბრი-  
კასაც, მაგრამ მისი საქონლით სავსეა ჩვენი ბა-  
ზარი, ჩვენს საქონელს კი თვალს თითქმის ვერსად  
დაპყრავთ მაღაზიებში.

აღრე იქნებ არც ეფიქრა ევგენიას ამაზე, მაგრამ  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის  
პლენუმის შემდეგ ეს საკითხი მთელი სიზწვათ  
დადგა დღის წესრიგში. ახლა ხომ თვით ფაბრი-  
კამ უნდა ააგოს თავისი პროდუქციის გამოშვების  
გეგმა მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალის-  
წინებით?

სართავ-სატრიკოტაუო კომბინატში წამყვან სა-  
წარმოდ მაინც ბამბის სართავ ფაბრიკას თვლიან.  
ეს ფაბრიკა იმავე კორპუსშია, სადაც ადმინისტრა-  
ცია მოთავსებულია. ფაბრიკის მთელი შენობა უქო-  
რავს, მის უზარმაზარ საამქროებში რომ გაივლით,  
მაშინ თუ მიხვდებით რამხელა ყოფილა ეს შენობა.  
თითქმის მთელი ფაბრიკა მექანიზირებული და ავ-  
ტომატიზირებულია. ბამბის შეკვრების დახარისხე-  
ბიდან, ბამბის უწვირდეს და უწმინდეს ნართამდე

5776

უველაფერს მანქანები აკეთებენ; ჩარხები აქ უამრავია და საითაც გაიხედავთ, ქსელივით არის გაბმული ბამბის ნარები, მაგრამ კომბინატის კადრების მომზადების განყოფილების უფროსი ნინა კოვალევა გვეუბნება, რომ ეს ჩარხები უკვე წარსულია სართავი ფაბრიკისათვის და რომ მათ ადვილს თანდათან დაიჭერენ სრულიად ახალი ჩარხები „სართავ-საგრები — 100“. ეს ჩარხები სართავი ფაბრიკის ზვლინდელი დღეა, და როცა საამქრო მთლიანად აღიჭურვება ამ სიახლით, ფაბრიკაც თავის პროდუქციას სამმაგად და ოთხმაგადაც კი გაზრდის.

მაგრამ ჭერჭერობით ბამბის მრთველ-მგრებლები ვერა და ვერ ასრულებენ გეგმებს. თუ სატრიკოტაჟო ფაბრიკამ წინა წლის გეგმა 108,7 პროცენტით შეასრულა, სართავმა ფაბრიკამ, დროის ამავე მონაკვეთში, სახელმწიფოს დააკლო ოთხმოცდაცხრა ტონა ნართი და თითქმის ვერც ერთ თვეს ვერ შეასრულა საწარმოო გეგმა.


რა არის ამის მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა, მუშახელის ნაკლებობა. იმავე ცხრა თვის მანძილზე კომბინატში სამუშაოდ მიიღეს 808 კაცი, კომბინატიდან კი წავიდა 948 კაცი. თითქმის ყველა სართავ ფაბრიკიდან. მუშახელის ასეთი დენადობა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს არა მარტო გეგმის შესრულებაზე, არამედ მუშათა კვალიფიკაციაზეც და, მაშასადამე, ფაბრიკის პროდუქციის ხარისხზეც.

ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და მუშახელის ასეთი დენადობაც ბევრი რამით უნდა ავსნათ. მუშებისთვის არ ჰყოფნით საერთო საცხოვრებელი. ზესტაფონის ქუჩაზე კომბინატს აგებული აქვს ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი, რომლის მთელი მეზუთე სართული თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ „დროებით შესახლებულ“ მოქალაქეებს უჭირავთ. ეს „დროებით შესახლება“ უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. არ იქნა და არ დაადგა საშველი ნორმალური ბინებით მათ უზრუნველყოფას.

ჭიშკართან, ღარაჯის ჭიხურის წინ, ასეთ ამბავს შევხვდებით. საუბრობდნენ სამნი, ორი ვაჟი და ერთი მალაღი, ღამაში ახალგაზრდა ქალი.

— მე მშვენიერი ბინა მაქვს, სულაც არ მჭირდება საერთო საცხოვრებელი, — ამბობდა ახალგაზრდა ქალი, — მაგრამ აქ გაჩერება მაინც არ შემიძლია.



— მაინც რატომ მიდინარ ფაბრიკიდან, ზოია?

— ჭერ ერთი იმიტომ, რომ არ ვიცი, ჩემი პატარა გოგონა და ბიჭი ვის დაუტოვო! აქ, არც საბავშვო ბაგაში და არც საბავშვო ბაღში ადგილი არა აქვთ. თავისი არსებობის მანძილზე ეს კომბინატი რამდენჯერმე გაიზარდა, საბავშვო ბაგა და ბაღი კი ისეთივე დარჩა, როგორც კომბინატის დაარსების პირველ წელს იყო. — ზოიამ ამოიხსრა და განაგრძო, — მეორე, — ბამბის მტვერი ბულივით დგას საამქროებში. ვენტილაცია ვერ ერევა ამ მტვერს. ამ საქმის მოგვარებაზე კი არავინ ფიქრობს. ახლა იმ ქალიშვილებზე გეტყვით, ვინც რაიონებიდან ჩამოვიდნენ. საერთო საცხოვრებელში კი ადგილები არ არის, რა უნდა ქნან იმათ. სად უნდა წავიდნენ?

რა კარგი იქნებოდა, ზოია, რომ ეგ ყველაფერი კომბინატის ხელმძღვანელებთან გეთქვათ, იმათთან, ვინც არც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, არც შვილებს აბარებს ბავშვთა ბაგაში და არც ბამბის მტვერს ულაპავს.

ვინც ამ კომბინატის მუშაობას გაეცნობა, არ შეიძლება ერთი აზრი, უფრო სწორედ, ერთი შეკითხვა არ მოუვიდეს თავში: რატომ არიან ერთ კომბინატად გაერთიანებული სართავი და სატრიკოტაჟო ფაბრიკები? რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან და რა აუცილებლობით არის ეს გამოწვეული?

სართავი ფაბრიკა, როგორც აქ გვითხრეს, წამყვანი საწარმოა კომბინატში. იგი მოწოდებულია შექმნას მალაღი ხარისხის ბამბის ნართი, რომელიც შემდეგ იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ რაი-

ახალი სართავი მანქანის მონტაჟი. მარცხნიდან — ანტონ ვინერი, გიორგი სმიკუნოვი, როსტისლავ რულევსკი (მალაღი) და შალვა მუსხელიშვილი



მოწინავე მქსელავი მერო მიშელაშვილი

ონში; მარტო ძალიან მცირე რაოდენობის (ფაბრიკის პროდუქციის საერთო რაოდენობასთან შედარებით) ნართი გამოიყენება კომბინატის მეორე საწარმოში — სატრიკოტაჟო ფაბრიკაში, სადაც, პირიქით, წარმოების ძირითად ნედლეულს — ვისკოზის, კაპრონისა და აცეტატის ძაფს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან იღებენ. ასე რომ, როგორც მუშაობის თავისებურებითა და პირობებით, ისევე პროდუქციის ხასიათით ეს ორი ფაბრიკა თითქმის არაფრით არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. მაშ ხელოვნურად ხომ არ არის ეს კომბინატი შეკოწიწებული? მით უმეტეს, რომ სატრიკოტაჟო ფაბრიკას უკვე ჰყავს სრულიად დამოუკიდებელი, საწარმოსათვის, საქმარისი, აღმინისტრაციული შტატი?

იქნებ ამის ბრალიც არის, რომ კომბინატის მუშაობაში დღემდე ვერ გამოსწორდა ბევრი ხარვეზი; ვერ სრულდება შრომისნაყოფიერების ამაღლების გეგმა, ბამბის ნართის დამზადების გეგმა, გახშირებულია ჭარბიბედი; ასე, მაგალითად, მარტო წინა ცხრა თვის მანძილზე ვაგონების მოცდენის, პროდუქციის უხარისხობისა და საწომი შეკლის დარღვევისათვის კომბინატი დაჭარბებულ იქნა 59 ათასი მანეთით. ეს კი ცოტა როდია.

ჩვენს აზრს თავზე არავის ვახვევთ, მაგრამ იქნებ სჯობდეს ჩავუფიქრდეთ ამას, ჩავუფიქრდეთ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებსაც, განსაკუთრებით ახალა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილებების საფუძველზე ასეთი კარდინალური ცვლილებები ხდება ჩვენი მრეწველობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მეთოდებში და როცა მთელი საბჭოთა ხალხი ასეთი აღმავლობით დგას პარტიის ოცდამესამე ყრილობის ვახტზე.

ამირან კუსრაშვილი

# რობორ გავიყენებ „ნათელა“

მიმდინარე წლის ნოემბერში ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი. ეს იყო მთელი ქართული კულტურის დღესასწაული. დიდი აკაკი ზრდიდა და ზრდის მთელ თაობებს სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. განუზომელია ის სიყვარული, რომლითაც გარემოსილია აკაკის სახელი ჩვენს ხალხში.

მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო აკაკის ცხოვრება. მან შექმნა მთელი ეპოქა ქართული პოეზიის ისტორიაში, მან მოგვცა მგრძობიარე და ღრმავაროვანი ლირიკა, რომლის უჩვეულო, მდიდარი ემოციურობა მკითხველს დღესაც იტაცებს და ხიბლავს. აკაკიმ გაამდიდრა ქართული მწერლობა მშვენიერი მოთხრობებით და დრამატული ნაწერებით; ბასრი და ფხიანი იყო მისი კალამი პუბლიცისტიკასა და სალიტერატურო კრიტიკაშიც. არ დარჩენილა მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების არც ერთი კუთხე, არც ერთი საკითხი, რომელსაც აკაკი არ გამოხმაურებოდა. აკაკი, იმავე დროს, ხანდახან რეჟისორობდა ქართულ თეატრს, რომელიც მან ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ ტრიბუნად აქცია, აგროვებდა ქართული ფოლკლორის საუტყხოვო ნიმუშებს, უაღრესად აქტიურ და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველაფერში, რაც კი სასარგებლო და ახალი საქმე დაიწყებოდა საქართველოში. ილია და აკაკი იყვნენ ნამდვილი სულიერი მოძღვრები ხალხისა, ღვიძლი შვილები სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა.

ბევრი რამ დაწერილა აკაკის ცხოვრებაზე და კიდევ ბევრი დაიწერება. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ორიოდ ფაქტს დიდი მგოსნის ცხოვრებიდან.

\* \* \*

აკაკის ქუთაისში აუარებელი მეგობარი და ახლობელი ჰყავდა. მათ შორის იყო მიტროფანე ლალიძე. აკაკიმ იგი 1892 წელს გაიცნო. რევოლუციურად განწყობილი, მოწინავე იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდა არ შეიძლება არ მოსწონებოდა დიდ მგოსანს, მით უმეტეს, რომ ლალიძე თავიდანვე ამქავენებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარს.

ახალგაზრდა კაცი მალე გახდა აკაკის ახლობელი ადამიანი, სწორედ იმ ხანებში ლალიძემ ქუთაისში გახსნა კუსტარული ქარხანა და პირველად გამოუშვა ხილზე დამზადებული ლიმონათი. ეს ქარხანა სულ მალე იქცა მოწინავე მოღვაწეთა თავშესაყრელ ადგილად.

საინტერესოა მიტროფანე ლალიძის ახლად გახსნილ წყლების ქარხნისადმი მიძღვნილი ლექსი აკაკისა, რომელიც ასე იწყებოდა:

სასმელების მეტოქე ვარ —  
ღვინის, ლულის, წყლის და რძისა.

აკაკის რჩევით მიტროფანე ლალიძემ 1906 წელს სასმელი წყლების ქარხანა გახსნა თბილისშიც. აქაც გაგრძელდა ტრადიცია ჩვენი მწერლების და პოეტების თავშეკრებილობისა.


აკაკის ზეგავლენით მ. ლალიძემ დაიწყო ქართული წიგნების გავრცელება, ჟურნალ „კვალზე“ და გაზეთებზე ხელისმომწერთა მოზიდვა და სხვ. არაღვალური წიგნების გავრცელებისათვის მას გადასახლებაც კი მოუწოდებდნენ და რომ აკაკი და ილია არა, მას ციმბირი არ ასცდებოდა.

მიტროფანე ლალიძემ გამოსცა აკაკი წერეთლის „ნათელა“, „თამარ მეფე“, „წმინდა ნინო“, „გამზრდელი“, „აკაკის ქნარი“ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით მოგვყავს მიტროფანე ლალიძის ერთი მოგონება.

„რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სოსიკო მერკვილასთან შევიკრიბეთ, შინაური საღამო იყო. აკაკიმ წაგვიკითხა თავისი ახალი პოემა „ნათელა“.

ყველანი აღტაცებაში მოვედით. მე ვუთხარი აკაკის — თუ ნებას მომცემთ, ამ ნაწარმოებს მე გამოვცემ-მეთქი. მგოსანმა გაიღიმა: — თუ მეტყვი, რა მოგეწონა ამ პოემაში, გამოცემის ნებას დაგრთავო. მე ვუთხარი: — ცოტნეს თავგანწირვა, ნათელას თაოსნობა და რაც შეეხება იმ ბნელი დროის აღწერას, რომელიც თქვენ მანდ გაქვთ, ეს ხომ რეაქციის დღევანდელი თარეშის აღწერაა, აქ ყველაფერი დღევანდლობას ეხმაურება-მეთქი.



აკაკის ბიუსტი ოპერის თეატრის ბაღში

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

აკაკი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, გადამოცნა და მითხრა:

— თანახმა ვარ, გამოვიცი „ნათელა“, ოღონდ ფასი დიდი არ დაადო.

1897 წელს აკაკი საავადმყოფოში იწვა, მძიმე ავადმყოფი იყო. მნახველებს არ უშვებდნენ, რომ პოეტი არ შეეწუხებინათ. შემდეგ, როცა კარგად გახდა და პატივმცემლებს ნება დართეს მისი ნახვისა, მიტროფანე ყველაზე ადრე ესტუმრა აკაკის.

ამ დღეს აკაკის სანახავად ნიკო ნიკოლაძეც მოვიდა. ოთახი სავსე იყო მანდილოსნებით, საჩხერიდან ჩამოსული ხალხით. აკაკი თავისი ტკბილი ხუშარა კილოთი ართობდა მნახველებს.

აკაკი უამბობდა მათ დიდად განტქმულ კათალიკოს ჰყონდიელის შესახებ, რომელსაც თურმე ერთხელ, ქადაგების დროს ხალხი შეეკითხა: ერთი გვითხარი რას წარმოადგენს ეს სამოთხე, რომ ყველა კაცს აქეთ მოუწოდებთო.

— სამოთხე ისეთი დაწესებულებაა, რომ იქ მყოფ წმინ-

და სულს არასოდეს არ მოსწყინდება. იქ მუდამ გალობენ ანგელოზები და სირინოზები მრავალნაირ ციურ საგალობელს. მაგრამ როგორი მშვენიერიც არ უნდა იყოს სამოთხე, სულ მალე ჯოჯოხეთად გადაიქცევა, თუ დილიდან საღამომდე მარტო იმათ უსმინა კაცმა და ერთ წუთს ვერ მოისვენაო.

აკაკიმ თქვა ეს და ღიმილით გადახედა ყველას. მაშინ წამოდგა ნიკო ნიკოლაძე და მნახველებს მიმართა:

— ვინც გამოიცნობს რა გვითხრა ამ ამბით აკაკიმ, სადილად დავპატიყებო.

მიტროფანე წამომდგარა და უთქვამს:

— ბატონებო! ამ ამბით აკაკიმ გვითხრა, ანგელოზებიც თქვენა ხართ, სირინოზებიც, ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა, მაგრამ ახლა ცოტა მომასვენეთო. მართალს ვამბობ თუ არა, ბატონო აკაკი!

პოეტს გაეცინა და მნახველებიც უმალ დაიშალნენ.

ნიკო ნიკოლაძე  
ფილოლოგიურ მიცნიერებათა  
კანდიდატი

# იზნოვ კე გსჯეს?



კავკასიონის ხედი კურორტ ავაღბარიდან.

იცნობ ამ მხარეს, სად ლიმონი  
ყვავილობს ველად,  
მწვანე ფოთლებში ფორთოხალი  
ოქროსფრად ელავს,  
მოჰქრის შრიალით ლაქვარდ ციდან  
ნიაფი ნაზი,  
მღუმარებს დაფნა და ეხვევა  
ხეს უსურვაზი!  
იცი ეს კარგად და გიტაცებს  
შენ ეს მოღამო?  
იქითკენ წამო, ჩემთან ერთად,  
იქითკენ წამო!

გოეთემ თავისი შესანიშნავი ლექსი, საიდანაც ეს სტრიქონებია ამოღებული, იტალიის პეიზაჟს მიუძღვნა, მაგრამ ამ ზღაპრულად ლამაზ ადგილებს რომ გაჰყურებთ, სადაც ბზიფი მრავალ ტოტად იშლება და შავ ზღვას უერთდება, ასე გეჩვენებათ თითქოს „მინიონის“ ავტორი სწორედ აქ იდგა და ამ ლაქვარდებს აღწერდა, ოქროსფრად მოელვარე ფორთოხლებსა, მანდარინებსა და ლიმონებს რომ დასცქერის. ეს ნარინჯოვანთა სამყაროა, მაგრამ მართო ისინი როდი იტაცებენ თვალს. რა ჯიშისა და რომელი ჰევენიდან მოტანილ მცენარეს არ შეხვდებით აქ!

გაგრიდან წამოსული ავტო. უეცრად მოიტოვებს უკან კედრისა და კიბაროსების ხეივანს, სარკისებური კობრით სავსე ტბასთან ხელმარჯვნივ მოუხვევს და კვლავ ხეივანში, ხეივანში კი არა, „გვირაბში“ შედის. გვირაბს აქ ეძახიან ხელოვნური ტბიდან საბჭოთა მეურნეობის ცენტრამდე მიმავალ გზას, რადგან სურნელოვან წიწვოვანებს ერთმანეთში ისე გადაუხლართავთ შტოები და ისე გადაუბურავთ მოასფალტებული გზა, ციდან მზის ერთი სხივიც ვერ აღწევს. და როგორც გვირაბის წესია, აქ საკმაოდ ჩამობნელებდა და საამო სიგრილესაც იგრძნობთ. და ისევ „მინიონი“ გახსენდებათ — ფოთლები ისე ხშირია — მწვანედაა ჩამობნელებული აქაურობა და ამ სიბნელეში ცეცხლივით ბღღვიალებს ფორთოხალი.

მინქანა ჩერდება; და თვალს ისევ იტაცებენ ტანწერწერი პალმები, დაფნის ბუჩქები, მაგნოლიები, ოლეანდრები, ტირიფები, ქალწულებივით თემები წყალში რომ ჩაუშვით. აქვე ქათათებს სვეტებმოჩუქურთმებული ორსართულიანი შენობა. მასში საბჭოთა მეურნეობის დირექციაა მოთავსებული.

ვიწყებთ მეურნეობის დათვალერებას. უკეთეს სანახავს, რომ იტყვიან ხოლმე, მართლაც ვერ ინატრებს ადამიანის თვალი. ქარსაცავი ზოლების გასწვრივ გადაშლილა თხუთმეტწლიანი მანდარინის და ფორთოხლის ტევრი; ყველაფერს ფირუზისფერი გადაჰკრავს — თეოფოსისა და ბორდოს ხსნარი შეუფრქვევით. ნიადაგი გაფხვიერებულია, ყველაფერი სანიმუშოდაა მოვლილი. აი, ასეთი იქნებოდა მთელი პლანტაციები, ორი წლის წინ ყინვას რომ არ დავეზარალებინეთო — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გენადი ქირია, — მაგრამ ჩვენ როდი დავმორჩილდით ბუნების სტიქიას... გახედეთ, ამას იქით ახლადაქორჩილი ნარინჯოვანთა ბუჩქები შრიალევენ. ეს პლანტაციები მომავალ წელს მოისხამენ ოქროსფერ ნაყოფს.

რა არ შეუძლია ადამიანის მარჯვენას, რას არ გააკეთებს შეუპოვარი შრომა! ციტრუსების სულ ახალი პლანტაციები ას არმოც ჰექტარზეა გადაჭიმული, ცალკე გამოყოფილი სამი ჰექტარი უჭირავს ქართველი მეციტრუსეების მიერ გამოყვანილ ლიმონის ჯიშს, რომელსაც „ახალქართულს“ ეძახიან. მშვენიერი ნაყოფი აქვს „ახალქართულს“, ხორკლიანი, ქარვისფერი, მეტად უხვფენიანი და

მდიდარი ვიტამინებით. ამასთან ხშირად თითო ცალი 800 გრამზე მეტს იწონის.

— გვალვასაც ვაჯობთ — განაგრძობს ქირია, — აგერ სარწყავი აგრეტები, ამ გზით მოედინება ბზიფის წყალი. მოსწყურდებათ თუ არა ჩვენს ნორჩებს, მაშინვე ვარწყულებთ, ცას არ შევცქერით, როცა გვინდა, მაშინ მოგვყავს წვიმა. ციტრუსს სხვა მტერიცა ჰყავს, ბევრჯერ თვალთ უჩინარი და იმათ დასამარცხებლად ქიმიკა გვეხმარება. ჩვენი ლაბორატორია ნახეთ არა? იქ არის მთავარი შტაბი და იმის შიშით აქ მიკრობები სათოფედ ვერ მიეკარებიან, — იღიმება დირექტორი.

აღრე, ათეული წლების წინ, აქ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა იყო. არარენტაბელურობის გამო შემდგომში ის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობით შეცვალეს. ამ ადგილას არც ეს გამოდგა ეფექტური. ომის შემდეგ აქ ნარინჯოვანები დამკვიდრდნენ. მართალია, დიდძალი შრომა და ენერჯია დაიხარჯა, მაგრამ ისეთი ედეში გაიფურჩქნა აქ, ამისთვის გარჯას ვინ დაინანებს! ამ უნოყიერეს მიწებზე გასაოცრად გაიხარა ლიმონმა და ფორთოხალმა, მანდარინმა და გრეიფრუტმა. პირველ ხანებში თითო ბავშვივით პერანგებით ფუთავდნენ, თვალს არ აცილებდნენ... ჰო, წედან ნარინჯოვანთა მტრებზე ვლაპარაკობდი. არ დამიმთავრებია მაშინ. ერთადერთი მტერი დაგვრჩა, ყინვაზე მოგახსენებთ; და იცოცხლე, იმასაც მალე დავამარცხებთ. აი დაიდგება აპარატები, რომლებიც ტემპერატურის ციტრუსთათვის საზიანოდ დაცემის შემთხვევაში უმალ განგაშს ასტეხენ, აქვე იქნება ძრავები, თბოდანადგარები, რომლებიც სასწრაფოდ ამუშავდებიან და ჰაერის თბილ ტალღებს მიაფრქვევენ პლანტაციებს. იქნებ ეჭვი გეპარებათ, ან ფიქრობთ, ეს ძალიან ძვირი დაჯდებაო. არა, ეს ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იქნება, როგორც ახლა მორწყვა და წამლის შეფრქვევა-შესხურება. საქმე ისაა, რომ აქ ციკლონები გაივლიან ხოლმე 10-15 წელიწადში ერთხელ და მათი ხანგრძლიობაც ერთი ან ორი დამეა, თანაც დღე-ღამეში 4-5 საათს გრძელდება ციკლონის შემოტევა. ასეთი ხანმოკლე ყინვის დამარცხება თანამედროვე ტექნიკის პირობებში სავსებით ხელმისაწვდომი საქმეა. ჩვენ უდავოდ დავამარცხებთ ყინვასაც.

როგორც ვთქვით, მთავარია აქ ნარინჯოვანი კულტურები, მაგრამ აგერ ვენახიც, ექვსი ჰექტარი უჭირავს, აგერ კეთილშობილი დაფნაც საშობადექვს ჰექტარზე, აგერ ფეხიოია; ეს უცხოელი სტუმარი გახლავთ. მაგრამ უცხოელი აღარც ეთქმის, უკვე შინაურულად გრძნობს თავს. მისი ნაყოფი უებარი წამალია მათთვის, ვისაც სისხლძარღვების დაავადება და გულის მანკი სჭირს.

კულტურის სახლის დირექტორი ნოე ებანოძე დაწვრილებით მოგვითხრობს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებაზე. მაგრამ რად გინდათ თხრობა, გაიხედეთ ირგვლივ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ აქ ყველაფერი მართლაც თვალსა და გულს ახარებს. აგერ კულტურის ახალი სახლი ფართოეკრანიანი კინო-დანადგარით, ახალი სკოლა, სადაც 676 მოსწავლე სწავლობს, აგერ სანიმუშოდ და ფაქიზად მოწყობილი მაღაზია, აფთიაქი, აბანო, საბავშვო ბაღები, სტადიონი, საცეკვაო მოედანი, ლაბორატორია... მეურნეობა კი არა, ერთი ბატარა კოხტა ქალაქია.

საპატიო დაფიდან გვიცქერიან პორტრეტები ადამიანებისა, რომელთა მარჯვენამაც აყვავა აქაურობა.

მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი მთელი ძალღონის დაძაბვით იბრძვიან, რათა პირნათლად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამესამე ყრილობას. ამიტომ აქ, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა რიტმი ჩვენი მჩქეფარე ცხოვრებისა, იგრძნობა ის დიდი მადლი შრომისა, რომელიც ასეთ წალკოტებს აღმოაცენებს დედამიწაზე.

კარლო დანელია,  
თინა ჩიგოვიძე

*Handwritten signature*

# ლევანოვსკი კუსნიანი

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა დიდ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს. გიორგი ჩუბინაშვილის ცხოვრება — ეს არის შემოქმედებითი ძიებისა და დაუღალავი შრომის გზა. დიდი ერუდიციისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი, რომლის შრომები მოიცავენ ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგს, გვევლინება ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების ფუძემდებლად საქართველოში.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს, პეტერბურგში. 1905 წელს იგი იქვე ამთავრებს გერმანულ სკოლას და 1907 წელს შედის ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1914 წელს, გამოცდების ჩაბარებისა და სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შედეგად გ. ჩუბინაშვილი ლებულოზს თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორის დიპლომს. ამავე წელს იგი სწავლას განაგრძობს პეტერბურგის ხელოვნების ისტორიის კერძო ინსტიტუტში, სადაც ისმენს გამოჩენილი მეცნიერის დიმიტრი აინალოვის ლექციებს აღრინდელ ქრისტიანულ ხელოვნებაზე. შემდეგ იგი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. ამავე დროს დამოუკიდებლად სწავლობს ქართულ სიძველეთა შესახებ არსებულ ლიტერატურას.

1917 წლის ბოლოს გ. ჩუბინაშვილი გადმოდის საქართველოში და ამ დღიდან მოყოლებული სათავეში უდგას ქართული კულტურის შესწავლისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეს. ამავე წელს იგი არჩეული იქნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც იგი აარსებს ქართული ხელოვნების კათედრას. ხელოვნების ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსებით 1918 წლის დეკემბრიდან იზღუბა ამ მეცნიერული დისციპლინის პირველი ფურცელი საქართველოში. გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით კათედრა იწვევს დიდ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას.

1924 წელს გ. ჩუბინაშვილი შემოსენებულ კათედრასთან აარსებს ხელოვნების ძეგლთა მუზეუმს, სადაც იმართებოდა გამოფენები ქართული მცირე ხელოვნების უმდიდრესი ნიმუშებით. უფრო ინტენსიური შეიქმნა კათედრის მუშაობა საბჭოთა ხელოვნულების დამყარების შემდეგ; გ. ჩუბინაშვილის ღრმა ჩანაფიქრს ამიერიდან ფართო გასაქა-

ნი მიეცა. ადგილზე აზომილი და ფიქსირებული იქნა ქართული ხელოვნების უამრავი ძეგლი. ამ ექსპედიციებს სათავეში ედგა გ. ჩუბინაშვილი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით სრულდებოდა ძეგლების აზომვა, მათი ფოტო-ფიქსაცია, აღწერა. გ. ჩუბინაშვილმა ფეხით შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე, ადგილზე შეისწავლა ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობისა და მცირე ხელოვნების ძეგლები. იმავე დროს, იგი სათავეში ჩაუდგა ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმეს.

ქართული ხელოვნების ძეგლთა მოვლა-პატრონობის, მათ დაცვასა და კოპულარიზაციასთან ერთად გ. ჩუბინაშვილი იწვევდა ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთი მხრივ უკვე იწყება ნამდვილი მეცნიერული მიდგომა ხელოვნების ძეგლებისადმი, ხოლო მეორე მხრივ საკითხი ისე იყო მომწიფებული, რომ უნდა გადაჭრილიყო ძირითადი პრობლემა — ქართული ხელოვნების ეროვნული საწყისების დადგენისა.


გ. ჩუბინაშვილმა პირველმა მეცნიერულად დაამტკიცა და დაასაბუთა ქართული ხელოვნების დამოუკიდებელი, ეროვნული მხატვრული სახე, მისი ხალხური საწყისები. ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეული ძეგლების მონოგრაფიული დამუშავების გზით გ. ჩუბინაშვილმა გამოავლინა თავისებურება, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული ხელოვნებისათვის, დაგვანახვა მისი ევოლუციის პროცესი და საბოლოოდ დაასკვნა, რომ „ქართული ხელოვნების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართული ხელოვნება არის განსაკუთრებული მხატვრული მოვლენა, ბუნებრივად და შინაგანი აუცილებლობით განვითარებული და გადაზარდილი ხალხურ ფართო საფუძვლებზე და არა ხელოვნურად დამყნობილი და გარედან გადმონერგული რამ“.

გ. ჩუბინაშვილის მთავარსა და უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ქართული ხელოვნების განვითარების მთლიანი ისტორიული პროცესის დადგენა, რისთვისაც საჭირო იყო მტკიცე თანმიმდევრობით უმთავრესი ძეგლების დეტალური შესწავლა, მათი ზუსტი დათარიღება, ყოველი მათგანის სპეციფიკური თავისებურებების ჩვენება.

სავსებით გასაგებია, რომ მკვლევარმა ქართული ხელოვნების შესწავლა ხუროთმოძღვრებიდან დაიწყო, რადგან საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, შუასაუკუნეებში ხელოვნების მთავარ დარგს ხუროთმოძღვრება წარმოადგენდა. ხუროთმოძღვრებასთან ერთად, გ. ჩუბინაშვილის შესწავლის მნიშვნელოვანი ობიექტი ქართული ოქრომჭედლობაც იყო. მცირე ხელოვნების ძეგლთა გაშუქება როგორც დამოუკიდებელი ხელოვნების ნაწარმოებისა — ეს იყო მიზანი, რომელიც იმთავითვე დაისახა მეცნიერმა.

გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა ქართული ოქრომჭედლობის მთავარი ძეგლები და მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები, რის შედეგადაც გამოვლენილია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების რთული პროცესი, ევოლუციის მნიშვნელოვანი ეტაპები. მკვლევარმა დაადგინა ზუსტი ქრონოლოგიური საზღვრები. საზგასმით უნდა აღინიშნოს მკვლევარის ახლებური მიდგომა ხელოვნების ნაწარმოებისადმი. მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა ხდება არა ცალკე, მოწყვეტით, როგორც ამას აკეთებდნენ გასული საუკუნის მკვლევარნი, არამედ იგი განხილულია საქართველოს ისტორიის ფონზე, ქართველი ხალხის კულტურასთან, მის განვითარების პროცესთან დაკავშირებით, ქვეყნის ეკონომიკასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ მთელი ეს სანგრძლივი კვლევითი მუშაობა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ოქრო-



აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი

მკედლობის დარგში დაგვირგვინდა ფუნდამენტური შრომებით კახეთის არქიტექტურასა და ქართულ ოქრომჭედლობაზე, რომლებიც გამოიცა 1959 წელს. „ქართული ოქრომჭედლობა“ — ეს არის პირველი შრომა, რომელიც იძლევა საერთო სურათს ქართული ხელოვნების ამ მნიშვნელოვან დარგის განვითარებისა შუასაუკუნეების საქართველოში.

მეცნიერულ მოღვაწეობას გ. ჩუბინაშვილი პედაგოგიურ მუშაობასაც უთავსებს. ახალგაზრდა კადრების აღზრდას მან არა ერთი ათეული წელი მიუძღვნა. მან აღზარდა ქართველ არქიტექტორების, მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების რამდენიმე თაობა.

გ. ჩუბინაშვილი იყო ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, პირველი რექტორი თბილისის სამხატვრო აკადემიისა, 1941 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. ღვაწლმოსილი მეცნიერი დღესაც სათავეში უდგას ამ ინსტიტუტს და დაუღალავად ანხორციელებს იმ გეგმას, რომელიც დაისახა მან ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დაწყებისთანავე.

გ. ჩუბინაშვილის სახელი გაცდა საქართველოს ფარგლებს. იგი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც დიდი მეცნიერი და დიდი ავტორიტეტი წინააღმოსავლეთის ხელოვნების ისტორიაში. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1959 წელს ლაიპციგის უნივერსიტეტმა, სადაც აღიზარდა გიორგი ჩუბინაშვილი, მიანიჭა მას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. დიპლომის ტექსტში აღნიშნული იყო, რომ ეს ხარისხი მას ენიჭება „უღრმესი მეცნიერული ნაშრომებისათვის“, რომლებითაც მან „შეკრა და განამტკიცა თავისი და ჩვენი ერების მეცნიერებათა ურთიერთკავშირი“.


ძნელია გადმოიცეს ის დიდი ღვაწლი, რაც მიუძღვის გიორგი ჩუბინაშვილს მშობლიური კულტურისა და თავისი ერის წინაშე.

რუსუდან ყენია

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ქართლი. უკანგორი. გ. ჩუბინაშვილი ძეგლის ფოტოგრაფების დროს





კოშკები

# ქვეთიანი შოკბისაქონ

ახალი ამბები ძალიან ბევრია და ახლა სკანები რაც სურსაზე სახმის ასწავენ, ერთი უბრალოდ გულისხმობს, ვინც საშრობლინი ბერი არ უნდა იყოს.

გზა მიდის შიგნით, მიანის მხარე კოშკები და მწვანე ხეები. ეს არის სუფია და თინათლის კულტურა შუა სივრცეზე დაფუძნებულია. იქილი უნდა, მუდმივად თავისი მწვენილი მიანის მისი მწვერული.

დავბერი, ლაზიური, იფრალი, ხაღვი, ხევიანი და ვინაში — სულ ცნობილი სოფელია კალაში.

სოფლები შიშადა ერთმანეთსაა. საოცრებები შიშადა აქვს მოხუცი სიმინე, ბერი, კარბილი. ზაფხულს სოფლის მთავარი საქმე მთავრდება. მესხეთისთვის და ზეცის წარმოება.

კალაში ახალი სახლები გაბნობს ძველს. მუდმივ კოშკები და მანქანები კი მაინც დგანან წარსულის მარჯვნივ. დგანან, რომ დამწვენიც ეს ულამაზესი შიგნით. ამას წინაშე აქ საშუალო სკოლა გახსნეს.

სოფლები თითქმის ერთმანეთს ნაწილა კალაში — ძველი კოშკები, ახალი ორბრუნავი შიშაში და ბაქარი ციხეები. მხოლოდ ხალხში არ დგან კოშკები.

ვინი ირანის რეჟიმის მონადირის გონს აქვს უბრალო ვარდულ ტანის, ერთი ჭკვილი თორე ძველ სსპრსულ ნოსს, შვირის კოშკები უშუალოდ და ლხინის. მზე მთავს მიმდევარ და ვიღისა, ლამის ეკონომი ხალხში ვაიფი. შინ ჩამოტეხილს ბავიხარ წიქარას, შინ ვინ დატრიალ ეკონომი, ხალხ!

აღზი ამ ვაიფილ დაწინაშე ბურჩან ღებამიძისა ცის ღებში. ბურჩანის ცხუპარის გზაზე შევარდნი. იგი ხალხიდან ბრუნდებოდა.

ცუქარაში მწვენიერი ზევი წულებია და ბერეცე ზევი კოშკები. ეს მთავრად ბოლოშია ზევი სკანები. მოსკვი სიმინე, ბერი, მისი ნივთი, სუფიებისა აქვრია ხელი.

— აგერი ხელი ნიკო კუბილიანი პირველი კავკასიის მთავრისა — ამბობენ და სიხარულით ვაძულებს მთავი.

— კუბილიანი ჯერინ სხივი სტუმარი, უკვლავ წულები მიდის, სკანების ავკარე რომ არ ვაყარს, არ შეუძლებს. ცუქარის ხელში ვაძულებ. მწვენი მოსდები შიგნით და სოფლის ცენტრისკენ ბაქარი სკანია ამხედრებს.

სკანები ძველად ოქრომკვლელობის ობიექტებიც კი იყვნენ და ჩვეურობის მკერდებიც. მათთან ბრძელა რამდენიმე ცუქარის სიბრძნელებს გვედგენს სპორტის ხეობა, სასკანების ადგილის ადგილები ამ კონკრეტულ სკანებს სარგებლობა გამოსახელებებიც აღამაზებდნენ და ხელნაწერებს უმწვენიერებიც დარბობი აფრადებდნენ.

საიკარია სკანები მათთვის: ჩვეურობისავე თვითონ პირად და ამიტომ უკვლე მათთვის სხვადასხვაგვარადაა მოხატული. ზოგს იქნება აშუადგომი, ზოგსაც ორბრუნავი, ხეობა ამ უკვლეველად.

მოსკვილი



ნახატები  
ღინრა ნოღიასი



ახალი ცნა

სკოლისაკენ

ღებო, ცერხისან ღიორის შვიი სასაქონე მკვიდი, ზედ ირის რეჟიმია ამოქროლი და კვარი დგას. მწვენილი კარა, მარტოში აკოშლი არ ვგროვებს. კარალი ზევი მიდის ახლა აღარაფერ ცხოვრობს აქ. იგი ვაიფიწველი დგას ახალი ფსკელი ზევი შვიინების ავრადი. მავარა მანქანა და სკანები ისევე უკვლავ და იმასვე მას.



შე, ჩუხიანი და ცინაი. უკვლავ მალდა — ლა-მანის ცეცხლია.

უკვლავ მთავარი მალდა კოშკი იზიდავს თვალს, უშუალოდ შუა სოფელში რომ დგას, ია-მანის ციხის პირდაპირ — რუბი, უმწვენიერი კოშკი.

კოშკის მალდა მალდა ზის ახ წულის გადამდებელი ძველი მოწყვეტი. სკანები წიქების და სიხარული დამცველი ვაი წინაშე, იგი უკვლავ სკანებისა. ცელ თვალში მწვენილები დასკანება. ადელი კი ამ კოშკებისით ახალი შვიინი.

იგი ამ შიგნით ამ კოშკებს და თუ კოშკითა, უმწვენი სკანების ამხეც ვაიამობს. და უკვლავ სკანები ისე ზევი, თითქმის თვითონ ცნობს. კარია კუბის სკანების მწვენიერ ფერებში, უშუალოდ კოშკები.

ღებოში თინათლი ანობის. მის მინერარებთან იმდენი უკვლავი ბარობენ და თვითი მინარე იწყებს. საბოლოო შიგნით მომავალი-მთავარი ფერი იცხებს და ულამაზეს ნახტებს ნახტებს. ფრესკები რომ მანქანა, ამ მალდა მანქანა რომ შვიინი.

შევიდა იწყება შვიი კულტურების ტრე და მწვენილი მთავარი შიგნით.

მთავარი მწვენილები სიხარულით დასკანები. მთავარი მწვენილები დასკანები და სკანების.


და თუ ვინმე, როგორ სკანების განმე და მწვენი ზევი ზევი ამოხეც აქ ზევიანი, რომ ცუქარის დევირი, ახლა თვითონვე ღებოს მის მალდა მწვენილებს. არის გზა და გზის მოწყვეტი სიხარული.

უშუალოდ ითხი სოფელია — მტრებელი, ჩვი-მტრები.

თინა კობახიძე



მცხეთა



ორი დღე თოვდა. ზოგჯერ შეჩერდებოდა, მაგრამ ცოტა ხნით, მერე კი ისევ თოვდა და თოვდა.

ფანჯრის წინ დიდი ველია. მარცხნივ მთებია და თითქოს მათ გააჩერეს ველი, რომ უფრო შორს არ წასულიყო. თეთრი ველი უსასრულოდ შორს მიდის და გვონია, რომ მთელი ქვეყანა თოვლითაა დაფარული. როცა თოვლს უყურებ, საოცარ სიმშვილეს გრძნობ, სიმშვილედ კი სიჩუმეს მოაქვს. ზაფხულშიც ალბათ სიჩუმეა აქ, მაგრამ ზამთარი სულ სხვაა. თითქოს თოვლის მოსვლამ მოიტანა სიჩუმე. ასე იცის თოვლმა. მოვა და დიდ სიჩუმეს მოიტანს. როცა პატარა-პატარა ფიქვები ცვივა, თითქოს მათ ჩამოაქვთ რაღაც მყუდროება. ფიქვები სულ სხვა ქვეყნიდან მოვიდნენ, მოიტანეს სითეთრე და დიდი, ძალიან დიდი სიჩუმე. სიჩუმე თანდათან ფარავს დედამიწას, მერე მთელ ქვეყანას. ზოგჯერ ხმის ამოღებაც გეშინია, გეშინია არ დააფრთხო სიჩუმე.

სახლის ცოტა მოშორებით ბატები დაბაჯბაჯებენ თოვლზე. სულ სამი ბატია. სამივე თოვლივით თეთრია, მხოლოდ ერთს ფრთები აქვს რუხი. ფეხები კი ყველას ერთნაირი აქვს. ხორციისფერი, უშნო ფეხები, ისინი რაღაცას დაქინებით ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. შეიძლება იპოვეს, მაგრამ მაინც ეძებენ. თოვლზე ექვსი უშნო კვალი რჩება. ბატები სულ ერთად დადიან, ალბათ ძმები არიან. არა, ძმები არ იქნებიან; რომ იყვნენ კიდევ, მაინც არ ეცოდინებოდათ. ანდა რად უნდათ, ისინი ხომ ბატები არიან, დადიან და რაღაცას ეძებენ, მერე არაფერი არ უნდა ბატებს. ისინი სიჩუმესაც ვერ გრძობენ.

ოთახში სამნი ვართ.

— ნეტავ როდის მორჩება ეს პრაქტიკა? — ვთქვი მე.

ავაზა დაფიქრებული ზის.

— ჯერ რა დროს გათავებაა, ახლა დაიწყო, — ამბობს ავაზა.

— ეჰ, კიდევ ორი თვე უნდა ვეგდოთ ამ პროვინციაში.

— კინო მაინც იყოს, ეს რა-ღიოც გაჩუმებულა.

— ჩართე, ერთი ვნახოთ რაა... ავაზამ ჩართო.

— გამორთე, გამორთე, არ ვარგა.

რადღო იშვიათად ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან ჩუმია. ახლაც ჩუმიათ ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ვთქვი გამორთე-მეთქი. რამე ხომ უნდა მეტყვა, ხაფიხია ლოგინზე წევს და ჰერს უყურებს.

როცა აქ ჩამოვედი, კომენდანტმა ამ ოთახში მოგვიყვანა.

— ერთი პატარა ბიჭია და იმას სხვა ოთახში გადავიყვან, — თქვა მან.

როცა ბიჭი მოვიდა, გაგვიღიმა.

— გამარჯობა, — ვუთხარი მე. ის უნდობლად გვიყურებდა.

— ჩვენ დროებით ჩამოვედით, ორ თვეში წავალთ, — ვთქვი მე.

ბიჭმა გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— რა გქვია ბიჭო შენ? — ჰკითხა ავაზამ.

— ხაფიხია.

— ხაფიხია?

— ხო, ხაფიხია. რა გაგვიკვირდა?

— არა, რა უნდა გამიკვირდეს.

— მე ნუგზარი მქვია, ამას ავაზა.

ხაფიხიამ უნდობლად შეგვათვალიერა, მერე გაგვიღიმა და პატარა ღუმელის გვერდით ჩამოჯდა.

— ეს ვისი ღუმელია? — ვკითხე მე.

— ჩემია, მე თვითონ გავაკეთე.

მეორე დღეს ავაზას ვუთხარი: — ბიჭო, ეს ხაფიხიაა თუ რაღაცა ჭანდაბა, რომ წავიდეს ამ ოთახიდან, ხომ გავიყინებით?

— აბა ბიჭო, გავიყინებით, — დამეთანხმა ავაზა.

— იყოს, რას გვიშლის, კარგი ბიჭია.

— კომენდანტს ვეტყვი არ გადაიყვანოს.

ახლა იწვა ხაფიხია თავის ლოგინზე, ჰერს უყურებდა და ფიქრობდა.

დილით, როცა გავიღვიძე, ხაფიხია ოთახში აღარ იყო.

— რა იქნა ბიჭო, ხაფიხია?

— ბებიაჩემთან წავიდა. რა ვიცი მე რა იქნა. დილაადრიან გამაღვიძა, ჯერ ლამე იყო, — თქვა ავაზამ.

— ალბათ სამუშაოზე წავიდა.

— ჭანდაბაშიც წასულა. იმის შემდეგ არ მძინავს. როცა ხაფიხია დაბრუნდა, გარეთ ბნელოდა.

— სად იყავი, ხაფიხია? — ვკითხე მე.

— სამუშაოზე.

— მერე ბიჭო, ამ დილაადრიან რომ მიდიხარ, სად გეჩქარებდა? — ჰკითხა ავაზამ.

— შორსაა, გზას დიდხანს ვუწვდი.

— ამდენ ხანს სულ მუშაობდი?

— არა, მერე სკოლაში ვიყავი.

— სწავლობ თუ?

— ხო, ორი წელი მიკლია დამთავრებას.

კედელზე, ხაფიხიას ლოგინთან, სურათი ეკიდა. თავშალიანი დედაკაცი იყურებოდა სურათიდან. ნაღვლიანი თვალები და გამხდარი სახე ჰქონდა მოხუცს. ხაფიხასაც ასეთი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა.

— ეს ქალი ვინ არის? — ჰკითხა ავაზამ.

— დედაჩემია.

— ახლა სად არის? — ფრთხილად ვკითხე მე.

— სოფელშია, — გულზე მომეშვა.

— მამა არა გყავს?

— არა.

— დაიღუპა თუ ისე...

— არა, ისე.

— შენ რატომ წამოხვედი სოფლიდან?

— აქ ვმუშაობ და ვსწავლობ.

— დედა არ მუშაობს?

— არა, არ შეუძლია.

— ვინ არჩენს აბა?

— ცოტას მე ვუგზავნი, იქ კიდევ ქათმები ჰყავს, ხილიც ცოტა, სოფელში ხომ იცი, ისე კი ავადმყოფია.

— ჩამოიყვანე მერე და აქ იცხოვროს, არ ჯობია?

— დავამთავრებ სკოლას და ჩამოვიყვან.

— შენ რამდენის ხარ?

— მერე დამეტყვი ვარ, — თქვა ხაფიხიამ.

რატომღაც შემეცოდა იგი. ძალიან გამხდარი იყო და ალბათ იმიტომ.

„ჭანდაბაშიც წასულა“, — გამახსენდა ავაზას სიტყვები და შემრცხვა, თითქოს ხაფიხიამაც გაიგო ავაზას სიტყვები, მაგრამ ის ფანჯარაში იყურებოდა და ალბათ დედაზე ფიქრობდა.

ღამე ვუყურებდი ელექტროლუმელის სპირალს და ვერ ვიძინებდი. სიბნელეში ეკიდა გავარვარებული მავთული და ცოცხალს ჰგავდა. ხაფიხაზეც ვფიქრობდი. ალბათ ავაზაც მასზე ფიქრობდა. მინდოდა მეკითხა რაზე ფიქრობ მეთქი, მაგრამ მაინც არ მეტყოდა და აღარ შევეკითხე.

კედლიდან თავშალიანი მოხუცი იყურებოდა. ლოგინში ხაფიხიას ეძინა და ეს მოხუცი ესიზმრებოდა. „— მოვალ დედა, სულ მალე მოვალ. ცოტა ხანსაც მოიცადე და მოვალ“. სიბნელეში გავარვარებული მავთული ეკიდა...

გარეთ კი თოვდა და თოვდა.

ვკვრია იყო. ავაზა პატარა ოთხკუთხედ სარკესთან იჯდა და ელექტრო-საპარსით წვერს იღებდა. ხაფიხია გაკვირვებული უყურებდა.

— რა არის ბიჭო, ეს? — ჰკითხა ხაფიხიამ.

— ვერა ხედავ, ვიპარსავ.

— იპარსავ?

— ელექტროსაპარსია და წვერს ვიღებ.

— საპარსი არ უნდა მერე მაგას? — ჰკითხა ხაფიხიამ.

— არა, არ უნდა. აჰა, გინდა შენც გაიპარსე. არაფერი არა გაქვს, მაგრამ მაინც — თქვა ავაზამ.

— არა, მე ჩემი სამართებელი მიჩვენებია.

— ეს სჯობია.

— არა, მე ის მიჩვენებია.

ავაზამ დაბადებულს დღე იყო და საღამოს მავდიდსთან ვიჯექით.

— მე არა ვსვამ, არ მინდა, — თქვა ხაფიხიამ.

— არ შეიძლება, უნდა დალიო, — თქვა ავაზამ, — ჩემი სადღეგრძელო დალიე და მერე თუ გინდა ნუ დალიე.

— კარგი აბა.

პირველს, მეორე მოყვა და მერე სულერთი იყო ვის სადღეგრძელოს ვსვამდით. ვსვამდით ისე, რომ დავგელია, ხაფიხიაც სვამდა.



ხაფიხია

გამოჩინდ ქართველ მწერალს კონსტანტინე ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჩვენი პრესა და საზოგადოებრიობა ფართოდ გამოცხადდა ამ თარიღს; „დროის“ რედაქცია უერთებს თავის ხმას მკითხველთა მრავალრიცხოვან მილოცვებს და უსურვებს საუჭაროდ მწერალს დღევანდელ მსახურსა და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებას ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, „დროის“ მიმდინარე წლის ნომრებში დაიბეჭდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ორი ახალი მოთხრობა „სიკვდილი ცოტას მოიკლდის“ და „ერთი ღამის საუკუნე“, რომლებიც გვიხატავდნენ სამამულო ომის იმ მძაფრ დღეებს, როცა მტერი კავკასიონს მოადგა. ამჟამად მწერალი განაგრძობს მუშაობას ამ თემაზე.

ჩვენი კორესპონდენტის კითხვაზე, თუ კონკრეტულად რა ხასიათის ნაწარმოებზე მუშაობს ამ ციკლიდან, მწერალმა შემდეგი გვიპასუხა:

— 1942 წლის შემოდგომის მძიმე დღეებში მე, კარლო კალაძესა და ერემია ქარელიშვილთან ერთად, მოვხვედი ბაქსანის ხეობაში, სადაც ჩვენი ქართული დივიზია გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა კავკასიონის კალთებზე შემოსეულ მტერს. იქ სრულიად შემთხვევით გადავაწყდი მეტისმეტად საინტერესო ამბავს, რომლის დასაწყისი არ შეიძლება მინახა, მაგრამ იმ დიდი ტრაგედიის დასასრულის მოწმე შევიქნენი. ოცი წელიწადია მწერლობაში დისტანციის მომხრე არა ვარ, მაგრამ რატომღაც მაინც ვერ მივუბრუნდი ამ ჩანაწერებს, რომ ეს დაფანტული და უკვე დროისაგან ფერგადასული ფურცლები წინააღმდეგ შექცია. ახლა კი, ყველაფერი გვერდზე გადავდე და იმ შორეულ ლანდებს დავუბრუნდი.

საქმე შემდგომად: 1942 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ჩვენი ქართული 892-ე დივიზიის მწვერავებში ტყეში წააწყდნენ მტრის ოთხ მწვერავ ჯარისკაცს; ჩვენებმა სამი მათგანი მოკლეს, მეოთხე — ტყვედ წამოიყვანეს. საოცარი ის იყო, რომ ტყვე-ქარისკაცმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია წითელარმიელებს, იგი მაშინვე დანება და როგორც შემდეგ გამოირკვა, შიშის გამო კი არა, არამედ მიტომ, რომ ქართველი იყო და ჩვენს მხარეზე გადმოსვლა უნდოდა.

ასე გაიხსნა ერთი საშინელი საიდუმლო: გერმანელებს, თურმე ვარშავის ახლოს, სოფელ ვიელონოში, მათთვის ჩვეული ინკვიზიტორული ხერხებით, მუქარით, პროვოკაციით ქართველი ტყვეებისაგან შეეკოწიწებინათ ერთი გაძლიერებული ბატალიონი, „გეორგიშე ლეგიონის“ სახელით მოენათლათ და აქ მოეყვანათ, კავკასიონის კალთებზე. გებელის პროპაგანდა არწმუნებდა ტყვე ქართველებს, რომ ახლა საქართველოში ანარქია გამეფებული და წესრიგი თქვენ უნდა დაამყაროთ. ამ ლეგიონს მეთაურობდა გერმანიის გენშტაბის ოფიცერი პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე. ლეგიონერებს ეცვათ გერმანული ფორმა, მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნად მკლავებზე და საყუდლებზე ვარდისფერი სამკუთხედი ეკეთათ. რა თქმა უნდა, ჩვენებმა მაშინვე დაიწყეს მუშაობა, რომ ამ ლეგიონის ჯარისკაცებს სიმართლე გაეგოთ და მტრის პროვოკაციას თან არ გადაეკლოდნენ. ამუშავდნენ სანგრების რადიოურპორები, ლეგიონის განლაგების რაიონში ჩაყარეს 40.000 ფურცელი მიმართვა, სადაც მოუწოდებდნენ ლეგიონერებს იარაღი შეებრუნებინათ და თავიანთ ძმებს გვერდში ამოადგომოდნენ. მაგრამ „გეორგიშე ლეგიონი“ სადაც სწრაფად გააქრეს გერმანელებმა.

4 ოქტომბერს ეს რაიონი დასტოვა ჩვენმა ქართულმა დივიზიამ; დივიზიის ადგილი ჯერ კიდევ არ აშლილიყო ბინიდან, რომ „გეორგიშე ლეგიონი“ ისევ გამოჩნდა ძველ პოზიციებზე; ეტუბოდა, იქ ისეთი რაღაც მოხდა, რომ გერმანელებმა უკვე თავიანთთვის საზარალოდ და სახიფათოდ ჩათვალეს ლეგიონის ახლოს ყოფნა ქართულ დივიზიასთან. ეს რომ ასე იყო, მაღე გამოირკვა. 8 ოქტომბერს, სოფ. ბაქსანის სანახებში, მდინარე გადუქთან ჩვენი ჯარების მხარეზე გადმოვიდა სამი ქართველი ლეგიონერი — უნტეროფიცერი ვასილ ვასილისძე წულაია, დაბადებული 1919 წელს, სოფ. ბანძაში, უნტეროფიცერი აკაკი ნიკოლოზისძე კაკაბაძე, ბათუმელი, მცხოვრები მახარაძის ქუჩაზე, № 49, და მესამე ლეგიონერი, გვარად ჯგერაძე, მისი სახელი, სამწუხაროდ, არ შემოინახა ჩემმა ჩანაწერებმა. მათ განაცხადეს, რომ „გეორგიშე ლეგიონში“ მზადდება დიდი აჯანყება გერმანელების წინააღმდეგ, ლეგიონი მთლიანად გადმოვა წითელი არმიის მხარეზე, ოღონდ საჭიროა თქვენი დახმარება. ჩვენ დღეგატებდად გამოგვგზავნა ლეგიონმა თქვენთან მოსალაპარაკებლად. ამ სიტყვებთან ერთად გადმოსულმა ქართველებმა ჩვენი შტაბის ოფიცერებს წინ დაუდეს სათანადო საბუთები.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ბმა ჩვენი შტაბის ოფიცერებს წინ დაუდეს სათანადო საბუთები.

სამხედრო საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და კავშირი დამყარა აჯანყებულებთან, რომლებმაც მეთაურობდნენ წულუკიძე, მურმანიძე და წულაია. ამ სამმა ვაჟკაცმა ქართველმა, ჯერ კიდევ პოლონეთში ყოფნის დროს შეფიცეს ერთმანეთს, რომ გერმანელების წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყოთ და ლეგიონი წითელი არმიის მხარეზე გადაეყვანათ. ლეგიონი მართლაც აჯანყდა, მაგრამ თითქმის მთლიანად დაიღუპა გავეხულ გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლაში. ჩვენებმა გამოადგინა რამდენიმე ათეულმა კაცმა და რამდენიმე ათეული კიდევ იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს ტყეში გაიქცა და პარტიზანებს შეუერთდა.

1944 წლის გაზაფხულზე, სიმფეროპოლის განთავისუფლების შემდეგ მე და ჩვენი გავითის რედაქტორმა ვალიკო ესაიაშვილმა ვნახეთ ეს პარტიზანები, ვესაუბრეთ მათ და უფრო დეტალურად აღვადგინეთ იმ საშინელი ღამის სურათები.

შემიძლია გავუჩუბდე ამ ტრაგედიას? აქ გამოჩნდა საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმტკიცე, მამულის სიყვარული და ყველაფერი ის, რაც ვერ გატეხეს გერმანელებმა და ძმა მისი მკვლელი ვერ გახადეს.

ეს ამბავი დაედება საფუძვლად ჩემი „მწვანე ღილის“ მეორე წიგნს.

- შენი ნამდვილი სახელი გვითხარი, ხაფი! — ჩააცვიდა ავაზა.
- ნამდვილიც ეგ არის და...
- არა, არა, შენ ახლა ნუ მატყუებ, ხომ არ მომატყუებ?... არა ხო, აბა.
- პასპორტში რა გიწერია?
- არა მაქვს პასპორტი, — ხაფიჩიას თვალები ებლიტებოდა.
- როცა გექნება, მაშინ?
- რა, მაშინ?
- მაშინ რას ჩააწერინებ?
- მოეშვი ახლა, რას გადაეკიდე, — ვუთხარი ავაზას.
- წადი, რადიო გამორთე, — მოთხრა ავაზამ.
- არ ლაპარაკობს.
- მაინც გამორთე.
- მე გამოვრთე.
- მაინც რა სახელია ხაფიჩია, ბიჭო, რატომ დაგარქვეს? — არ ეშვებოდა ავაზა.
- შენ რატომ დაგარქვეს ავაზა? — ვკითხე მე.
- რა ვიცი, აიღეს და დაამარქვეს. დიდებს რას გაუგებ.
- ხოდა, ამასაც აიღეს და დაარქვეს.
- მე ფანჯარასთან მივედი. გარეთ თოვდა. პატარა ფანტელები ნელა ეშვებოდნენ დაბლა და ერთმანეთს ფარავდნენ. დიდი სიჩუმე იდგა, ძალიან დიდი, მე მესმოდა იგი. სიჩუმეც შეიძლება გაიგო, თუ კარგად დაუგდე ყური. მაგდისთან ისხდნენ ავაზა და ხაფიჩია და რაღაცს ამტკიცებდნენ. ისინი არ უსმენდნენ სიჩუმეს, რომელიც ფანჯრის იქით იყო. ისხდნენ და სვამდნენ. მერე ხაფიჩია ფეხზე ადგა.
- დაჯექი და ისე თქვი, — ვუთხარი მე.

- არა, უნდა ვიღვი, ასე უფრო კარგად ვიტყვი.
- კარგი, თუ გინდა იღვიქი.
- მე, ბიჭებო, რის თქმა მინდოდა? ხო, იმის თქმა მინდოდა, რომ რა ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის? არაფერი, მე თქვენ არ გიცნობდით, არც თქვენ მიცნობდით. მერე ერთად ვიცხოვრეთ და გაცივანით ერთმანეთი. რა არის მართობა?... ძალიან ცუდია მართობა. არ ვარგა მართო კაცი. როცა ერთად ვართ ხოლმე, მიხარია. არ უნდა იყოს ადამიანი მართო. არაფერ არ უნდა იყოს მართო. მე ახლა არავინ არა მყავს ამ მოხუცის მეტი, ზის და მიცდის, ჩემს მეტი არავინა ჰყავს. ჯერ მამას უტდიდა, მამა არ მოვიდა, ახლა მე მიცდის. მე აუცილებლად მივალ. მივალ და წამოვიყვან. მერე სულ ერთად ვიქნებით. ის ავადმყოფია, აღარ შეუძლია, ავად არის და ცოლდა. ავად რომ არ იყოს, მაინც არ დავტოვებ, ცოლდა მართო. ჩემს მეტი არავინა ჰყავს ამ ქვეყანაზე...
- ღამე გახელილი თვალებით ვიწევი და ვფიქრობდი, რატომ ჰქვია ხაფიჩიას ასეთი უცნაური სახელი? ავაზასაც უცნაური სახელი ჰქვია, მაგრამ ამას ვერც კი ვგარძნობ, ალბათ მივეჩვიე. ხაფიჩია კი? ალბათ ამასაც მივეჩვიე. მაინც საიდან მოიგონეს? ალბათ აიღეს რაც თავში მოუვიდათ და დაარქვეს. ადამიანები თვითონ უნდა ირჩევიდნენ სახელს, მაშინ ყველა კარგს შეირჩევენ. აღარ იქნება უცნაური სახელები.
- კვლიდან კი მოხუცი ქალი იყურება. გამხდარი დანაოქებული სახე აქვს მოხუცს. თვალბეც ძალიან სევდიანია. უცდის მოხუცი.
- გარეთ ცივა და აღარ თოვს. შორს მიდის თოვლი, ჰორიზონტამდე. იქ კი ერთდებიან თოვლი და ცა. ფანჯარაში მთვარე იყურება და მოხუცის სურათს ანათებს. „— მოვა, აუცილებლად მოვა, აბა სად წავა?“ — ფიქრობს მოხუცი და ნაღვლიანი თვალებით შვილს უყურებს.
- გარეთ კი ცივა, აღარ თოვს და დიდი, დიდი სიჩუმეა.

# საქართველო

ქალაქი რომ უფრო წინ არის როგორც ტექნიკით, ისე საერთოდ კულტურის დონის მხრივ, ეს სადავო არ არის. მაგრამ არის ერთი სფერო, სადაც სოფელი დღემდე დიდ უპირატესობას ინარჩუნებს. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ადამიანი სოფლად უფრო დიდხანს სძლებს, ვიდრე ქალაქად. როგორც მთავრობის იმას, რომ ეს ხარვეზი შევაცხოთ — ამზე გვესაუბრება ქალაქთმშენებელი ინჟინერი ვ. ფალევეი თავის წერილში „ადამიანი და ქალაქი“, რომლის ერთ თავს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

სტატისტიკამ ყველაფერი იცის: მას შეუძლია ზუსტად დაგისახელოთ ყოველდღიურად რამდენ ტონა წიწკას მიირთმევენ მოსკოველები, რომელ ნომერ ფეხსაცმელებზე იყო შარშან ყველაზე მეტი მოთხოვნილება უკრაინაში, რამდენი ბიჭუნა დაიბადა შარშანწინ როსტოვში და ა. შ. სტატისტიკამ ისიც იცის, რომ სოფლად ღრმად მოხუცებული ადამიანების რაოდენობა ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქალაქებში. ეს ციფრი, ცხადია, ქალაქებისათვის სამწუხაროა, მაგრამ ამ საქმის გამსწორება, როგორც იტყვიან, ჩვენს ხელთ არის. თანამედროვე ქალაქი მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. იგი, უპირველეს ყოვლისა, ნერვიულ სისტემას აზიანებს. თანამედროვე ქალაქის ცხოვრება — ხმაური, ფუსფუსი, მცირე დროის მანძილზე სხვადასხვა სიტუაციების სწრაფი ცვლა — მეტად მძლავრი გამლენიანებლებია, რომლებიც ნერვიული სისტემის ნაადრევ გადაღლას იწვევენ.

ერთი საათის განმავლობაში ადამიანის ფილტვებში 2,5-4 ათასი ლიტრი ჰაერი გადის. ამავდროის განმავლობაში მხოლოდ ერთი მძლავრი „თბილექტროცენტრალის“ მიღები ატმოსფეროში ათობით ტონა ნაცარსა და გოგირდოვან აირს აფრქვევენ. ქალაქში ჰაერი დანაგვიანებულია დიდი რაოდენობის მავნე შენარჩევებით. მათ შორის უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ავტოტრანსპორტის მიერ გამოყოფილ მავნე გაზებს. ყოველივე ეს ცუდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ჩვენში ამჟამად ყველაფერი კეთდება ქალაქებში ცხოვრების გასაუმჯობესებლად; ქალაქის მცხოვრებს შეუძლია და კიდევაც უნდა იყოს ჯანმრთელი. ამის განხორციელება არქიტექტორ-მგებმავების, ინჟინრებისა და ჰიგიენისტების ერთობლივი მოქმედების მეშვეობით გახდება შესაძლებელი.

საკითხი, უპირველეს ყოვლისა, შეეხება დასახლების სწორ სისტემას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, სატრანსპორტო საქმის ორგანიზაციას და, ბოლოს, გარე სამყაროს ფიზიკური პირობების მაქსიმალურ გაუმჯობესებას — ჰაერის სისუფთავეს, სიწყნარეს, მწვანე ნარგავების გაშენებას, საცხოვრებელი მიკრორაიონების მოხერხებულობასა და კომფორტს.

მეცნიერები ახლა ბევრს ფიქრობენ იმაზე, რომ ტრანსპორტი უხმაურო და უკვალოდ გახდეს. ბევრი დაიწერა ელექტრომობილებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით მხოლოდ მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანების ფურცლებზე მოგზაურობენ. მომავალი ასეთ მანქანებს ეკუთვნით. ამჟამად კი ქალაქის ტრანსპორტში ბატონობენ შიდაწვის ძრავები.

ტრანსპორტის მავნე გამოწყობების კონცენტრაცია ყველაზე მეტია ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალზე. ეს გამოწყობები შეიცავენ შხამიან გაზს — ნახშირჟანგს, აგრეთვე ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ალიზიანებენ ლორწოვან გარსს. ცდებმა გვიჩვენებს გამონახობლქვ გაზებში ნახშირჟანგის მოცულობის პროცენტული დამოკიდებულება ძრავის მუშაობის რეჟიმთან. ყველაზე ნაკლები მსუფთავი გაზი გამოიყოფა დიდი სიჩქარით სვლის დროს. გასაგებია, რომ ტრანსპორტის შეჩერება გზაჯვარედინებზე იწვევს შხამიანი გაზების კონცენტრაციის მკვეთრ გადიდებას. ეს გვიკარნახებს ვებრძოლოთ მავნე გამონახობლქვ გაზებს დაგეგმვის საშუალებით: ტრანსპორტის ძირითადმა ნაკადმა უნდა იმოძრაოს დიდი სიჩქარით საცხოვრებელი რაიონების განაპირას მდებარე გამწვანებულ ქუჩებში. გზაჯვარედინებზე აგებული ესტაკადები და გვირაბები იმის საშუალებას მოგვცემს, რომ შექნისთან მანქანები აღარ ჩერდებიან.

დებოდნენ. იგი უზრუნველყოფს შეუწყვეტელ მოძრაობას და არსებითად შეამცირებს ჰაერში მავნე გამონახობლქვი გაზების რაოდენობას. საინტერესოა ასეთი ფაქტი: მოსკოვში, მაიაკოვსკის მოედანზე, გვირაბის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ნახშირჟანგისა და ნახშირწყალბადის კონცენტრაცია თითქმის ხუთჯერ შემცირდა.

რა მოვეხერხოთ იმ საწარმოებს, რომლებიც ატმოსფეროს აბინძურებენ? ცხადია, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვეძებოთ ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების საშუალება. ამასთან, ძიება უნდა ითვალისწინებდეს სრულყოფილი ფილტვების შექმნას, რომლებსაც აქვთ წმენდის მაღალი ხარისხი — 99 პროცენტამდე. უნდა ითქვას, რომ ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც იხუიწები წარმატებით მიდიან ამ გზით. არის კიდევ ერთი გზა — მავნე საწარმოთა გადატანა შორს, საცხოვრებელი რაიონების ფარგლებს გარეთ.

უკვე ახლო მომავალში არსებით შედეგს მოგვცემს საქვებთა გაზიფიკაცია. მოსკოვში უკანასკნელ წლებში გაზიფიცირებულია 540-ზე მეტი მრეწველობისა და ათასზე მეტი ბინის საქვებზე, აგრეთვე ასი ათასზე მეტი სახლის ღუმელი. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ამან 1962 წელს 5-6-ჯერ შეამცირა ჰაერის დამტვირთაობა 1950 წელთან შედარებით.

ჩვენი ქალაქთმშენებლობის მეცნიერება ცდილობს, რომ ქალაქის გამწვანებულმა ქუჩებმა, სიწყნარემ და სუფთა ჰაერმა ადამიანს მოუტანოს შრომის სიხარული; მიუმატოთ ამას დასვენების კარგი პირობები და მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა ქალაქში ისეთივე იქნება, როგორც სოფლად.

### 3. ფალევეი

ქალაქთმშენებელი ინჟინერი

## მოგონება

ახლანან გამოქვეყნდა ლეილა თავთაიშვილ-ურუშაძის მეტად საინტერესო წიგნი მარჯორი უორდროპზე, დამაჯერებლად და მრავალ საგულისხმო ფაქტის აღწერით მოგვითხრობს წიგნის ავტორი, თუ როგორ გულწრფელად უყვარდა საქართველო, მისი მწერლობა, ისტორია და კულტურა ამ შესანიშნავ ინგლისელ ქალს. წიგნმა ზოგი მოგონება აღმოძრა, რაც უფროსის პეიზაჟებს მსურს გავუხიარო.

თვითონ მარჯორი მე არ მახსოვს. მხოლოდ ერთი წლისა ვიქნებოდი, როცა ის პირველად ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ კარგად მახსოვს მისი ძმის ოლივერის უფრო გვიანდელი ჩამოსვლა საქართველოში, მით უფრო, რომ ის ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. სულ უბრალოდ მოდიოდა ჩვენსას სადილად და ჩაიბუქებოდა ძალიან მწყინდა ყოველთვის, რომ არ ვიცნობდი თვით მარჯორის. დამას ფრთხილად ძალიან უყვარდათ და განუყრელად ერთად მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ოლივერი დიპლომატის სამუშაოზე იმყოფებოდა.

ოლივერი შუატანისა იყო, ხმელხმელი, ძალიან სადა და მორიდებული. ერთხელ ერთად წავედი ქართულ წარმოდგენაზე თეატრში (შენობაში, სადაც ახლა გრიბოდოვის სახელობის თეატრია). გაიგო თუ არა ხალხმა, რომ დარბაზში უორდროპი

შემოვიდა, წამოდგა ფეხზე და ტაშის გრილით მიეგება სტუმარს. ოლივერი შეკრთა და ძალიან ადელდა ასეთი მოულოდნელი თბილი შეხვედრას გამო.

სამშობლოში დაბრუნებული ოლივერი გვეწერდა, რომ ცოლი ითხოვა. თვითონ უკვე იმ დროს, ცოტა არ იყოს, ხანში შესული იყო. რამდენიმე წლის შემდეგ თავისი ორი ვაჟისა და ერთი გოგონას სურათებიც გამოგვიგზავნა და იწერებოდა, რომ გოგონას ნიწო დაარქვა საქართველოს სიყვარულით და მის მოსაგონებლად.

ჩვენი საზოგადოება ძალიან აფასებდა მარჯორი უორდროპის ღვაწლს და მისი გარდაცვალების შემდეგ თავისი სიბო და პატივისცემა ძმასა და ძმის ოჯახზე გადაიტანა. მახსოვს, შეავაროვეს ფული და დედაჩემს დავაღეს მდიდარი საჩუქარი შექმინა და ნიწობას ოლივერისათვის გაეგ-


ზავნა ინგლისს, მისი ქალიშვილისათვის.

დედაჩემმა მეც წამოვიყვანა საჩუქრის შესარჩევად. მივაგენით საუცხოო ოქროს სამკაულს, ძვირფასი თვლებით მოჭედოდა. ეს სამკაული გავგზავნეთ ინგლისს, პატარა ნიწოსათვის.

ოლივერს დედაჩემთან მთელი წლების მანძილზე ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა. გასაგებია, რომ ჩვენს ოჯახთან მას, პირველ რიგში, შექსპირის ქართული თარგმანები აკავშირებდა. ეს წერილები გადაეცემა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს.

მახსოვს ოლივერის ჩამოსვლაც თბილისს, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ. მაშინაც მოვიდა, მოგვინახულა და გული აგვიჩუყა თავისი გულსხმიერებითა და დედაჩემის თბილი მოგონებით.


ელინა მაჩაბელი-ჩიჩქაიშვილი.



ს. კობულაძე  
საქ. სსრ სახალხო მხატვარი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

შკვარციანის პიესა  
„ნაბიჭვარი“

ჟურნალის ამ გვერდებზე ვაქვეყნებთ ჩვენი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო საქართველოს თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის გამოფენაზე. ეს გამოფენა მოწყობილი იყო ნოემბრის თვეში, საქართველოს სამხატვრო გალერეაში. გამოფენამ მყურებელს უჩვენა მხატვართა სამი თაობის ოსტატთა ნამუშევრები.



ე. ახვლედიანი  
საქ. სსრ სახალხო მხატვარი

ს. შანშიაშვილის პიესა  
„ანზორი“

პ. ოცხელი

უ. შექსპირის პიესა  
„ოტელო“






დ. თავაძე  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
ჩეხული მოლაქე

დ. ფაღვიანი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„ესპანელი მღვდელი“



ფ. ლაბიაშვილი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე

გ. ჩახუცტაშვილი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე



ი. შტენბერგი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე


ტ. ჩხარტიანი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე

ი. ქიქელიძე, ა. სლავინსკი,  
ი. ჩიკვაძე



ა. შილაშვილი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე

ს. ვირსალაძე  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე




ა. შავეჩაიანი  
საქ. სსრ ხელოვნების დამსახურ.  
„უფროსების“ ტყეზე

მ. მალაზონია



მ. ქავთაძის პეიზაჟი  
„უფროსების“ ტყეზე




თ. სამსონაძე

კ. ლორთქიფანიძის პიესა  
„ქოლხეთის ცისკარი“



ქართული  
მელოდრამა



კ. ჭანკვეთაძე  
საქ. სსრ დამსასურებელი მხატვარი

თ. ვაკეჯის პიესა  
„შამილი“



ნ. იგნატოვი

ფ. ლორკას პიესა  
„სისხლიანი კორწილი“

# სუსტაქისაჲ

## ბრიგოლ სხსლაძე

ვაზით და ვარდით  
აქარგული მიწა ქართული,  
ბუმბერაჲ მთების მწვერვალებით  
ცას მიჰბჭენია,  
შორი წარსულის  
ბინდში მოჩანს  
გზა წარმართული,  
ვაზისჭვრის შუქიც  
მინდორ-ველებს გადაჰფენია.

იბერებს, კოლხებს,  
აუგიათ სიმაგრეები,  
წითელ ოქროთი ჩამოუსხამთ  
არმაზის კერპი...  
დრო გადიოდა,  
ჭერით ცვლიდნენ დღეებს დღეები,  
კერპებს ამხვრედვდნენ,  
ქრისტეს ჯვართან მიჰქონდათ მსხვერპლი.

ციხე-ქალაქი,  
მთად და ბარად,  
ბევრი აშენდა,  
წმინდა გელათი  
აღიმართა სინათლის სვეტად;  
სვეტიცხოველი  
დიდების ჰიმნს  
ცად აღავლენდა,  
წარების რეკვით  
აერთებდა ქართველებს მცხეთა.

დრო გადიოდა,  
ჭერით ცვლიდნენ  
დღეები დღეებს.  
ემატებოდა  
ტურფა მხარეს  
სიმტკიცის ძალა.  
იმორჩილებდა გმირი ხალხი  
წყლებსა და კლდეებს  
და ოქროს ხანამ  
დიდ თამარის დროსა გაშალა.

ძლევის დროშასთან  
ელვარებდა  
მხარგრძელის ხმალი,  
დარილის და  
დარუბანდის  
იცავდა ბჭეებს.  
განძთა სალაროს  
ამძიმებდა  
ოქრო და ლალი;  
დიდოსტატები  
ჰქმნიდნენ ერის დიდ საუნჭეებს...

ბევრი გადურჩა  
უამთ სიავეს;  
ხიდი, საყდარი,  
ბევრი საუნჭე შევიანებთ  
გარდასულ დროთა.  
ცეცხლს ინახავდა  
მარად უქრობს  
კერის დადარი:  
შენს მარგალიტებს ინახავდა,  
რუსთველო შოთა!

წარსულს და აწმყოს  
აკაშაშებს  
შენი გენია: —  
სიციცხლეს, ტრფობას,  
ვაჟკაცობას  
და ერთგულებას,  
შენი დიადი შთაგონების  
მადლი ჰფენია,  
უბკობი სიბრძნე  
გულს მარადუამს ესაღბუნება.  
რვა საუკუნე  
გაწოლილა  
თუმცა ჩვენს შორის,  
ჩვენ გვახლოებს  
ერთი ზეცა,  
ერთი მთა-ბარი; —  
პოეზიისთვის  
არ არსებობს  
მანძილი შორი,  
და არც მამულის ტრფიალებას  
არ აქვს საზღვარი.

დღეს, უმრწემესი  
ერთი შენი შთამომავალი,  
„ვეფხისტყაოსანს“ როს ვისუტებ  
მთრთოლვარე მკერდზე,  
თუმცა გვაშორებს  
ჩვენ ერთმანეთს  
წელი მრავალი,  
ვით ახლობელი,  
მღელვარებით ვფიქრობ შენს ბედზე.

ძველი თქმულება  
სიყვარულის მსხვერპლად გიხსენებს,  
უცხო მხარეში განდევნილად  
შენ გვეგულები,  
არ ვიცით შენი წმინდა ნეშთი  
სად განისვენებს,  
სად დავიჩქოთ,  
სად მოვიდეთ თაიგულებით.

ვერ მივაგენით,  
ვერ ვიხილეთ  
ქვა საფლავისა.  
მაგრამ რა! —  
შენ ხომ ხალხის გულში  
ხარ დამარხული  
ყოველი კუთხე  
ქართულ მიწის  
შენ გთვლის თავისად:  
მიწა გელათის,  
ვარძიისა, ჯვრის თუ ხახულის...

მეც, როს შეგყურებ  
ძველ ნანგრევებს,  
გული იწთება.  
ხმა იღუშალი  
თითქოს მესმის  
ყოველი მხრიდან:  
— „აჲ დადიოდა  
რუსთაველი,  
ერის დიდება,  
ქართული სიტყვის მარგალიტებს  
იგი აჲ თლიდა“.



# სახეში

## ელდარ ქერქვაძე

გვეგებებიან როგორც ახლობლებს, —  
სავსენი თრთოლვით და იმედებით...  
აღამიანებს ჰგვანან სახლები  
მაღალ შუბლით და ფართო მკერდებით;  
მათ უნდათ მეტი სინათლე, სივრცე,  
მხარში გვიდგანან, გვანუგეშებენ  
და აივნები მზისაკენ ისე  
გაუშვებიათ, როგორც პეშვები...

აღამიანებს ჰგვანან სახლები  
სავსენი თრთოლვით და იმედებით.

# საღმისი



წყნარია ზეცა...  
ისე დაგვეცქერს, ალბათ შენ გბაძავს.  
ალბათ შენ გბაძავს  
ამომსკდარი კვირტიც ალუბლის,  
წყნარია ზეცა, —  
ახლა იგი შენ თვალბსა ჰგავს  
და მე აშუამად  
მეშინია მარტოდემ... ღრუბლის.

# ქოქაჲს ქონა



## თაიფურაჲ აბულაძე

მდინარე იყო საოცრად წყნარი  
და მდინარეში მთვარეს ეძინა.  
გარინდებულთი,  
ფერმკრთალი ღამე  
აპრილს რტობზე გადაეწვინა...  
და დღხანს,  
დიდხანს ანანავებდა,  
თეთრი ზღაპრები ჰქროდნენ მდელოთა  
და შორს,  
ნაპირზე დაბმულ ნავებთან,  
თრთოდა ლოდინის მოუთმენლობა,  
და მე ვფხიზლობდი,  
რომ დღევანდელი  
დღის სიხარული გადამერჩინა...  
მდინარე იყო წყნარი, ნათელი  
და მდინარეში მთვარეს ეძინა.



# სამსონ საქართველო სამედიცინო

ალექსი გომეზა



მ ო თ ხ რ ო ბ ა

გაზეთ „ივერიის“ ფურცელზე ქართველ ხალხს მიულოცა ამ შესანიშნავი დაწესებულების გახსნა.

ს. თოფურია დიდი ზრუნვით მოეკიდა ავადმყოფთა მოვლა-გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს, თავს დასტრიალებდა ავადმყოფებს, უშუალოდ მონაწილეობდა ოპერაციებში, ყველაფერს აჩნდა მისი მზრუნველი ხელი. ამან სწრაფად გაზარდა საავადმყოფოს ავტორიტეტი, ავადმყოფები მოდიოდნენ საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან, ამას გარდა, მოდიოდნენ თურქეთიდან და ირანიდანაც კი.

საავადმყოფოს დიდძალი ხალხი მოაწყდა სამკურნალოდ. სამსონ თოფურიამ ქალაქის ცენტრში გახსნა უფასო ამბულატორია, სადაც ავადმყოფთა მიღება სწარმოებდა.

1892 წელს ექიმების — სამსონ თოფურიას და დიმიტრი ნაზარიშვილის თაოსნობით საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელმაც დიდი ამაგი დასლო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეს.

საინტერესოა ექიმის განუყრელი მეგობრის ნიკო ნიკოლაძის მოგონება:

„ერთ მშვენიერ საღამოს მე და სამსონი სამკურნალოს აივანზე ვისხედით, ამ სამკურნალოს ჩრდილოეთი მხრიდან გელათის ტაძარი დასცქერის. სამსონი თავის სამკურნალოს მომავალზე საუბრობდა, ოცნებამ წაიღო და აღტაცებას მიეცა.“

— იცი, ნიკო, აი. გელათი რომ არის, იქ ხომ დაკრძალულია დავით აღმაშენებელი, სწორედ იმ უდიდესი მეფის სახელი მფარველობის და პატრონობის ჩემს სამკურნალოს. პირველად ხომ იმან დააარსა ჩვენში ქსენონი და ქსენონთან აკადემიაც გააართა. როცა კაცს ასეთი მფარველი და პატრონი ჰყავს, არაფერს არ უნდა შეუშინდეს, ყველას შესძლებს და, თუ ცოცხალი ვარ, კიდევ ბევრ კარგს მოვესწრები.

საგულისხმო სიტყვებია, აქ კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა სამსონ თოფურია თავის საავადმყოფოს.

პატრიოტი მკურნალი ოცნებობდა თავისი სამკურნალო სამეცნიერო-კვლევითი კერად გადაეცემა. მაგრამ მძიმე შრომამ მოქაჩანდა ეს დაუცხრომელი ადამიანი. იგი გარდაიცვალა 1904 წელს, 23 ივნისს, 50 წლის ასაკში. გარდაცვალების წინ დაწერა: „ანდერძად ვტოვებ, აცნობეთ ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობას, ჩემი სამკურნალო გადაეცეს ქალაქ ქუთაისს უსასყიდლოდ.“

„სამსონ თოფურიას სამკურნალო“, რომელსაც ამჟამად ქალაქის ფიზიო-თერაპევტიული სამკურნალო ეწოდება, დირსეულად განაგრძობს თავის ძველ ტრადიციებს და თავდადებით ემსახურება ქალაქის და მისი მახლობელი რაიონების მოსახლეობას.

ის დიდი სიკეთე, რომელიც სამსონ თოფურიამ თავის ხალხს დასლო, მუდამ დაუფიქსარი იქნება.

აკად. პ. ქაშიარაძე,  
ბრ. მხანიძე

ქუთაისის მედიცინის ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე

ჩვენი წარსულის გამოჩენილ ადამიანთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახელოვან ქართველ ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს — სამსონ თოფურიას. მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე მან შესწირა საქართველოში მეცნიერული მედიცინის და კლინიკურ-სტაციონარული მკურნალობის დანერგვის საქმეს.

სამსონ ბესარიონის ძე თოფურია დაიბადა 1854 წელს, სოფ. ძველ აბაშაში (ყოფ. ქუთაისის გუბერნია); ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა გერმანიაში, საქვეყნოდ ცნობილ პროფ. ვირხოფთან, რომლის კლინიკაში სამსონმა წელიწადზე მეტი დაჰყო. შემდეგ მას შენევაში ვხვდავთ, და ყველგან გულდასმით ეუფლება მედიცინის უკანასკნელ მიღწევებს, რათა ეს ცოდნა სამშობლოში დაბრუნებისთანავე თავის ხალხს მოახმაროს.

და აი, სამსონ თოფურია უკვე საქართველოშია.

როგორი მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში და კერძოდ ქუთაისში სამეცნიერო მომსახურების მხრივ? ძალზე ცუდი. გარდა ორი აფთაპიასა, რომლებიც დიდი ვაივაგლახით იქნა გახსნილი ქუთაისში, მოსახლეობისათვის სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებანი არ არსებობდა. მკურნალობის საქმე ორი-სამი ექიმის ხელში იყო, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწეოდნენ. გასაგებია, რომ ექიმების ნაკლებობის გამო, ასპარეზი ექიმბაშებს ჰქონდათ დათმობილი. ყოველივე ამის გამო ქალაქში და მის ახლო რაიონებში ხშირად თავს იჩენდა ეპიდემიური დაავადებანი — ხოლერა, ყვავილი, დიფტერია, ქუნთრუშა და ა. შ.

ს. თოფურიამ მოითხოვა ქუთაისში სტაციონარული სამკურნალოს გახსნა. ამ მოთხოვნას წინ აღუდგნენ რეაქციული ელემენტები, ყველა ჯურის სკეპტიკოსები და ექიმბაშები, რომელთაც არ სწამდათ ასეთი დაწესებულების შექმნის შესაძლებლობა, ხოლო ვაჭართა წრე შორიდან სეირის საყურებლად მოემზადა, ვინაიდან იმედოვნებდა, რომ უსახსრობის გამო სამსონ თოფურია ვერ შეძლებდა ამ საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანას. მაგრამ სამსონი მისთვის ჩვეული სიღინჯით იგერიებდა ამ შემოტევებს. მისი კატეგორიული მოთხოვნის შედეგად ქუთაისის თვითმმართველობამ გადაწყვიტა საავადმყოფოს აშენება. სამსონმა გამოქვანა სახსრები, შეიძინა მიწის ნაკვეთი რიონის პირას, მოიწვია თბილისიდან არქიტექტორი, მშენებელი-ინჟინრები და 1887 წელს თავისივე პროექტით დაიწყო შენობის აგება. დიდი ბრძოლის, შრომისა და დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად 1890 წელს პირველ მაისს გაიხსნა 75 საწოლიანი საავადმყოფო, რომელსაც „სამსონ თოფურიას სამკურნალო“ ეწოდა. ეს იმდენად დიდი ამბავი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის

შაქის თხები უპატრონოდ დაეტებოდნენ აღმალა და მერობლების ბალ-ბოსტნებს აჩანაგებდნენ. ამის გამო ნახევარი სოფელი ემდურადა; მასაც სხვა გზა არა ჰქონდა, გადაწყვიტა მწყემსი ეშოვნა, ადგა და ყველაზე ღარიბ მერობელს, დედაჩემს სთხოვა, შენმა ბიჭმა ჩემი თხებიც თან წაახასო, გასამრჩელოდ ერთი ვაცი დამპირდა და კიდევ „ბევრი სხვა საოცხოო საჩუქარი“.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, მე უკვე შაქის ჰიშკართან ვიდექი. ეზოდან ყუფით გამოვარდა ღამაში ლეკვი, ჩალისფერი მოკლე ბეწვი მზეზე ისე უბრწყინავდა, თითქოს ოქროში იყო დაფერილი. ლეკვი იყო, მაგრამ დიდი ძაღლის დაბოხებული ხმა ჰქონდა.

კბილებგადმოყრილი მომვარდა იგი. მე კი იმას მშვიდად ჩავხედე არცის ალივით მოლოტოჯო თვალეზში. ლეკვმა ყუფას თავი მიანება, წინ დამისკუბდა და კუდის ქიცინი დამიწყო, თვალეზიც საოცრად გამოცვალა, აღერსიანად შემომხედა, თითქოს შეუბნებოდა: „ნუ გეშინია, შენ არაფერს გიწამო“.

როცა თხები საბაღახოდ გავრეკე, თავარა ისე უყოყმანოდ გამომყვა, თითქოს ეს ასე იყო დაწესებული.

იმ დღიდან ჩვენ ერთმანეთს არ დავშორებდით. თავარამ ჩემზე კარგად იცოდა, რომელი თხა რა წინსა იყო. ზოგი თხა რქებს წინ წაიგდებდა და თავარას სარქვენად გამოუდგებოდა. ჩემი ჰკვიანი ძაღლი იმ უწუნო თხას არასდროს არ უტებუნდა. ღრენითაც კი არ შეუღრენდა, მხოლოდ განზე გაუხტებოდა და შეურაცხყოფილად დაიწკმუტუნებდა. რაც შეეხებოდა იმ თხებს, ბოსტანში შეპარავა რომ უყვარდათ, მათ არასდროს არ დანიდობდა და ხანდახან კანჭუცეც გაჰკარავდა კბილს.

ზოგჯერ საღამო ხანს, ტყიდან მგლის ყმუილი მოისმოდა, თავარა ფხიზლად იყო. ყურები უტახცახებდა, ხმადაბლა იღრინებოდა, მე კი გული მწყუდებოდა, რომ თოვი არ მქონდა.

ერთხელ თავარამ სოკვილს ვაღამარჩინა.


ერთმა მერობელმა პატკივი მცა და უტეცხლო თაფლი მომცა. მეც დავჭეკი და კარგად მივაძეხი. მერე მდინარეში ჩავედი საბანაოდ. უეცრად გული ცუდად გამიხდა, თავბრუ დამესხა. ჩემმა თხებმა ჯერ ყვითელი ჯვრი მიიღეს, მერე კი წითლად შეიღებნენ და თვალწინ დატრიალდნენ. დატრიალდა აღმოღებულნი ნაბირი, ნაბირზე მომდგარი სერები, მერე ერთბაშად ყველაფერი გაშვდა და მეც ცოვი და ჩუმი სიბნელე შემომხეცია. გარძობაზე რომ მოვედი, რიყეზე ვიწეკი, ფეხები ისევ წყალში მქონდა. თავარა თავზე მადგა, წკმუტუნებდა, ხელპირს მილოკავდა. ერთი ორჯერ პირი ჩამავლო და ცოტაზე გამათრია.

— თავარ, ჩემო თავარ — ჩავიჩურჩულე მე.

მთელი გულ-ღვიძლი მეწვოდა, თავი მისკდებოდა, პირში საძაგელი გემო მქონდა, მარჯვენა ფერი მტკიოდა, აღმათ ქვაზე მიმახუტოქა წყალმა. ყველაფერი თაფლის ბრალი იყო, ბევრჯერ გამიგონია, ახალი თაფლი მზამიანია და თუ ბევრი შეჭამე, ხელ-ფეხის მოწყვეტა იცისო. წყალში არამც და არამც არ უნდა ჩავსულიყავ. კიდევ კარგი, თავარამ მიშველა, თორემ ახლა ზღვაში ვიქნებოდი ჩატანილი.

— თავარ, ჩემო თავარ — ვჩურჩულებდი მე და ძალაგამოლუული ხელით ჩემს მხსენელს ვეფერებოდი.

\* დასასრული. იხ. „დროშა“, № 10.



სექტემბერი მოახლოვდა, მალე ისევ სკოლაში უნდა წავიდეთ. გადავწყვიტეთ, შაქის ვთხოვო, — არ მინდა თეთრწვერა ვაცი და სხვა „საუცხოო საჩუქარი“, მხოლოდ თაქარა მომცეს და მე დიდად მადლობელი ვიქნები.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთი საღამო, როდესაც თაქარას თვალეზმა პირდაპირ შემპარწუნა.

იმ საღამოს თხები წყაროსთან გაბარდნილ მკლნარში შევრკვე და მეც იქვე ჩავიკრიფე მუხლი დასასვენებლად.

წვიდან წამოსულმა ღრუბელმა მთელი ტატნობი დაფარა. ქარი ჩადგა. ჰაერი შეიხუთა. ერთი ფოთოლიც არსად ირხვოდა. ღრუბელი თანდათან მიიმედა აწვებოდა დედამიწას და სულისთქმა სჭირდა; მხოლოდ დასავლეთით, სადაც ღრუბელი ჭერ კიდევ ვერ მისწვდენოდა ცისკიდურს, დაისის მწეს ღრუბელი წითლად შეედება და გარშემო ყველაფერს სისხლის ფერი დასცემოდა.

— თაქარ! — ჩუმად დავუძახე ძაღლს — შეხედე ცას, როგორი წითელია, ამინდი შეიცვლება.

თაქარა იქვე იწვა თხემლის ჩრდილში და ჩუმად წმუტუნებდა, ისე ჩუმად, თითქოს კენესას იკავებდო. მუდამ დაცქვეტილი ყურები მიმჭინარ ფოთოლივით ჩამოეყარა და საცოდავად შემომყურებდა. მისი გაწყალებული თვალეზი რაღაც შველას მთხოვდნენ.

დაისის მწეს მისი თვალეზის თეთრი გარსი ისე გაეწითლებინა, თითქოს სისხლში სცურავდო, მაგრამ აგერ ეს მწეც ჩავიდა, ჭალაში ბინდი ერთბაშად ჩამოწვა და თაქარას თვალეზსაც ბინდისფერი დაეღო, თითქოს ვიდაცამ სული შეუბერა და არაყის ალი ჩაუქროო.

— რა მოგივიდა თაქარ? ნუ ვეშინია, მე აქა ვარ! — ხმის კანკალით წაეჩურჩულე და კისერზე ხელი მოვხვიე, იქნებ ფეხზე წამოვაცუნო-მეთქი, მაგრამ თაქარამ ოდნავ წამოიწია და ისევ მოწყვეტით დავარდა მიწაზე.

ბარდებში მიყრილი თხები სასწრაფოდ წამოვყარე და სოფლისკენ გამოვრკეე. ვიფიქრე, გზაში ვინმე შემხვდება და ავადმყოფ თაქარას ვაჩვენებ, იქნებ რამე უშველოს-მეთქი.

სანამ წამოვიდოდი, ერთხელ კიდევ ვცადე და ძაღლს სახელი დავუძახე, ჩუმად დავუსტვიენე, როგორც შინ წასვლის დროს ვუსტვიენდი ხოლმე.

თაქარა წამოდგა, ორი-სამი ნაბიჯი ძლივს გადმოდგა და ისევ დაეცა, თავი უძალოდ გვერდზე გადაუფარდა, გაუყრდა, თითქოს სული ამოხდაო.

„შურგზე მოვიკიდებ და ისე წავიყვან“ — გავფიქრე მე, მაგრამ ხელი რომ მოვკიდე, შან თავისი თეთრი ბასრი ეშვები გადმოეყარა და ჩუმად შემომდრინა.

ეს თაქარას არასოდეს არ უქნია.

„იქნებ გაცოფდა?“ — გამიელვა თავში და თაქარას სწრაფად გავეცალე.

ძაღლი თითქოს მიმიხვდა, თუ რამ შემაშინა, წელი ძლივს აითრია და ბანდალ-ბანდალით უკან გამომყვა.

„ცოფიანი არ არის, უთუოდ რამემ აწყინა, ცოტახანს იავადმყოფებს და გაუვლის“. — ვამშვიდებდი ჩემ თავს და ფარას წინ ნელი ნაბიჯით მივუძღოდი, რომ თაქარა გზაში არ ჩამომბრჩენოდა.

გავიდა ერთი კვირა. თაქარა მანაც ავად არის. ბალანი მოეთელა და ალაგ-ალაგ კიდევ გასცვივდა. გახდა. ნეკნები ისე ამოყარა — პირდაპირ გული შევიწუნებდა. აღისფერ თვალეზზე ბინდი დადევრა...

მე მანაც იმედი მქონდა, რომ იგი მოიკეთებდა.

ავისტო ილეოდა, უთენია შაქის ღობეს რომ მივადექი. ეზოში უცხო ხალხი დავინახე. მგონი ჩემი დიასახლისის ნათესავები იყვნენ. გზად გამოველოთ. ზოგიერთები ცხენებზე სხდებოდნენ და წასვლას აპირებდნენ, ზოგი ისევ კაკლის ძირში გაშლილ სუფრასთან იდგა და საქართოს სვამდა.

ერთი კარგი მოსული ვაჟაკი წაბლისფერ ულაყზე იჯდა. ცხენი ფრთხილად, უკანა ფეხებში იკეტებოდა. უცბად მზედარმა ღობის ძირში მივადექი, ჩონჩხად ქცეულ თაქარას მოატანა თვალეზი.

— ჩემო დაო! — გაეხუმრა იგი დიასახლისს: — ამ ძაღლის შემხედვარე სტუმარს უელში ლუქმაროგორ გადაუტა? რა დაგემართა, როდის იყავი ასეთი ძუნწი?

ახლა სხვებმაც აუბეს ბანი და შაქის სიცილი დააუარეს.

— რას ამბობ კაცო? გამხდარი კი არა, ძაღლი სიმსუქნისაგან ფეხზე ვერ დგება.

— მე მგონია, მაგას განგებ აშიშვლებენ, რომ უფრო ავი გახდეს და მეტლს არ შეუშინდეს ხახახა.

— მაგის სინსილა კი გაწყდა! — ჩაიბურტყუნა დარცხენილმა შაქიმ: — ძაღლი ავად არის, ხალხს კი მგონია, ბატრონი აშიშვლებს — ერთი ნაგება ღობი ენანებოა.

სტუმრები წავიდნენ, შაქიმ სუფრის ალაგება დაიწყო. უცებ მე დამინახა და პირისახე გაბადრა.

— ნანა! შენი ჭირიმე! მოხვედი უკვე? — მითხრა მან და თეფშები ისევ სუფრაზე დააწყო: შემოდი, ერთი კარგად ვისაუზმოთ მე და შენ.

მეც უარი ვეღარ ვუთხარი და სუფრას მივუჭექი. შაქიმ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— იცი რა, ჩემო ნური? შენ ტყეში მარტო დადიხარ. აგერ ჩემი ჭმრის თოფი კი კედელზე ტუთულად ჰკიდია, წაიდე და მოიხმარე, ვინ იცის, რა შეგემთხვევა.

სისარულისაგან ენა ჩამვიარდა. თოფს ხელი დავტაცე და ჭოშკრისაკენ მივტრიალდი. გუშინ სოფლის ბოლოში ორი კურდღელი წამომიხტა. თუ ისინი ვერ ვიპოვე, მელიის სოროს მივადექი, ის მანაც ვერსად წამივა. ამირიდან აღარც მგლისა შემემშინებდა... ზეი, მხეცებო, ნადირებო, მიფრთხილდით, ჩემი თხებისაკენ არ გამოიხედოთ, თორემ განანებთ იცოდეთ. საწყალი თაქარა! ნეტავ შეეძლოს ჩემთან წამოსვლა.

ამ ფიქრში რომ ვიყავი, შაქიმ მხარზე ხელი დამალა და ღობესთან მიმიყვანა.

— აი ეს მოკალი და თოფიც შენი იქნება! — უტყრად მითხრა მან და თაქარას ზივლით გადახედა.

თავში თითქოს კეტი დაბერესო, ერთხანს გარტებული ვიდექი. მერე გონს მოვედი და შაქის მუხლებში ჩავუფარდი, შენი ჭირიმე, ეს მეორედ აღარ მითხრა-მეთქი.

— მალე კარგად გახდება, გუშინ მე თვითონ ვნახე, ამდგარიყო და ქასთან წყალს სვამდა. ორი დღეც არ გაივლის, ამის ყეფას გაიგონებ.

— რას ამბობ, შე სულელიო. მეტი არ ადგა ჩემი მტერი, მაგ არ გამოკეთდეს! აქამდეც უნდა მომეკლა, ამდენ სირცხვილს გადავრჩებოდი. ხომ ხედავ, ხალხი რას ლაპარაკობს! თუმცა სახვეწარი რა მაქვს, შენ როგორც გეტყობა, ეს თოფი არ გინდა. მომეცი აქ...

მე დავინახე როგორ გამოიშვირა მან ხელი თოფის წასართმევად, დავინახე და... უკან გადავხტი.

მერე ბევრი აღარაფერი მახსოვს. თოფი შევმართე და თაქარას დავუმიწენე.

სროლის ხმამ თავწარი დამცა. თოფის უკუცემამ კინაღამ წამაქცია. ერთხანს ვერაფერი გავარჩიე. მერე თვალეზში სინათლე რომ დამიბრუნდა, სისხლში მოხვრილი თაქარა დავინახე. ის ჭერ კიდევ ცოცხალი იყო და პირდაპირ თვალეზში მიუჭურბდა. ძაღლის თვალეზში ისევ ის ცისფერი ალი ენთო, და ის თვალეზი ისეთივე ნდობითა და სიყვარულით მიცქერდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ჩავიდინე.

„თაქარ, ჩემო საწყალო თაქარ!“ — გმინავდა ჩემი გული.

— წაიდე და შორს გადაადდე! — გავიგონე შაქის ხმა, იგი იქვე იდგა და ტუჩებმობრცილი იუურობდა.

უხმოდ მივტრიალდი, თოფი მოვიქინე და მიწას დავახეტქე, მერე თავი დაველუნე და ჭიშკარს მივაშურე.

— სად მიდიხარ, ბიჭო? გაგიუდი თუ რა მოგივიდა? თხები არ უნდა წაიყვანო? — გამომიდგა ყვირილით შაქი.

მაგრამ მე წავიდე და წავიდე, უკან არ მომიხედავს.

— ჯანდაბაში წასულხარ! — მომაწყევლა მან. — არ გინდა თეთრწვერა ვაცი? ვერ მოგართვი, შე მართლა, გვაჯა, შენა!

არ გასულა დიდი ხანი, სანატრელმა წვიმამ კოკისპირულად დაუშვა. დავგაულულმა მიწამ სული მოითქვა. ნათესები ხარბად სვამდნენ უკვდავების წყალს. წვიმამ ყველა გაახარა, მეც გამახარა, რადგან, ახლა კაცი ვერ შემატყობდა, ღოუებზე ცრემლი მდოლოდა თუ წვიმის წვეთები. წვიმის ხმაურში ჩემი სლუკუნიც აღარ ისმოდა.


მეორე დილას დედამ ხელები გაშალა და შეიცხადა, ეს რა არის, შვილო, თმაში თეთრი გამომგრევიო.

იმ დღეს სოფლის ორღობეში მივდიოდი. სადღაც ეზოდან ღამაში ლეკვი გამოვარდა, ყეფა დამიწყო. ხან წინიდან შემომიბრინა, ხან კიდევ შურგვიდან მომიტანა.

მე ჩუმად ვიგერიბდი და ვცდილობდი, მისი თვალეზი არ დამეინახა, არც ის მინდოდა, რომ ლეკვი შემჩვევოდა და დანდობილი შემხვედროდა ამ გზაზე გავლისას.

დაე, მიუფროს ასე ბრაზიანად, ასე სჯობია!

აფხაზურიდან თარგმნა მერი ნიშარბაძე





# აქტორული კაცით



სვეტლანა კორკოშკო

უკრაინელი და ქართველი ხალხების შრომითა და სულიერ თანამეგობრობას კიდევ ერთი ახალი ფურცელი დაემატა. წელს, შემოდგომაზე უკრაინის დედაქალაქში, ივანე ფრანკოს სახ. თეატრში ვნახეთ სოფოკლეს „ანტიგონე“, რომელიც დადგა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა რუსთაველის სახ. თეატრის მთავარმა მხატვარმა ფარნაოზ ლაბიაშვილმა, ხოლო მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ოთარ თაქტაიშვილმა.

სპექტაკლის გამარჯვებას, რასაკვირველია, მართო კლასიკოსის ნაწარმოების სილიაღით ვერ ავსნით. კლასიკოსების ბევრ ბრწყინვალე პიესას ვიცნობთ, რომლებიც რეჟისორული „ნოვატორობისა“ და თავდაყირა: „ხედვის“ შედეგად პრემიერის მეორე დღესვე იხსნება. აქ მიზეზი სხვა გახლავთ, სახელდობრ ჯანსაღი რეჟისორული გააზრება, მოქალაქეობრივი პოზიცია, იმის ნათლად წარმოდგენა, თუ რა უნდა თქვას ახალი რეჟისორმა ძველი პიესის დადგმით, რას ეუბნება მნახველს.

რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა. მან იცის — რა რისთვის. ამ სპექტაკლშიც თქვა ის, რაც აღდგებდა და ააღვრავდა მას შემდეგ. თქვა ხატვანად, ამაღლებულად, ემოციურად, შთაბეჭდილად. მას შემდეგ დაუჭერა და გააყვამ მას. გააყვინა აქტიორებიც, მხატვარიც, კომპოზიტორიც, ქორეოგრაფიც.

დოდო ალექსიძეს ბევრი სანიმუშო სპექტაკლი დაუდგამს ქართულ სცენაზე, მათ შორის ყველას მიერ აღიარებული „ოდიპოს მეფე“, „მხატვრობა“, „ფიროსმანი“, „ანტიგონე“ დ. ალექსიძის ასევე ძლიერი სპექტაკლი გამოვიდა და ეს გვახარებს ყველას.

პირველი, რაც თვალში გეცემათ, ესაა სპექტაკლის ყველა კომპონენტის პარმონიულობა; მას შემდეგ არ ეძლევა რეჟისორის მიგნებანი, მხატვრის დეკორატიული გადაწყვეტა, კომპოზიტორის მუსიკალური შთანაფიქრი, ქორეოგრაფის მეტყველი პლასტიკა, აქტიორთა ტემპერამენტული თამაში. ყოველივე ეს, სპექტაკლის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ბუნებრივად იჭერს და სწორედ ეს არის რეჟისორის დამსახურება. მან დიდი ტაქტით, შინაგანი დამაჯერებლობით შექმნა სოლიდარობის ატმოსფერო, რომელშიც ყველა კომპონენტი ბედნიერად გრძნობს თავს.

აი ამიტომ გვახსენდება სკულპტურული პლასტიკითა და ემოციური დაძაბულობით აღსავსე მიზანსცენები, რომლებიც ერთი-მეორეში ლოგიკურად გადადიან და თვალშესახებდ მიაქვთ მას შემდეგამდის სპექტაკლის დიდი აზრები. დაუფიქრებელი მუხლებზე დამბობილ მეომართა და სულიერად დათრგუნული მეფე კრეონტის შემოსვლის სცენა. მისი უკანასკნელი დაღადისი, როცა იგი ზემოდან დაშვებულ კედელს იმედით მიეყრდნობა, მაგრამ საყრდენი გამოეცლება და კრეონტი მოწყვეტილი ფოთოლივით უიმედოდ მიწაზე ეცემა. მისი ხსნა მხოლოდ სიკვდილია.

მძაფრი შინაგანი დინამიკობითა და მეტყველებით არის შესრულებული კრეონტის მიერ ანტიგონეს დაკითხვის სცენა. ამაღლებული ლაქონურობით გამოძეგრეს რეჟისორებმა და აქტიორმა უკანასკნელი განზორების ეპიზოდი. და განა მართო ეს?

რეჟისორმა სრულიად სხვა, ვიდრე „ოდიპოსში“, შინაგანი პლასტიკური მონოლოგით წარმართა მასობრივი სცენები, მისი ქორო სცენური გმირების მოქმედების მართლ დამატება-გაღრმავება როდია, იგი თვით არის მთავარი მოქმედი გმირი და ამიტომ მისი მიზანსცენური ნახაზიც ამ ხედვითაა მონახული, იშვიათი ოსტატობითა და ცოდნით არის გამოქანდაკებული. დ. ალექსიძის ქორო არ იმეორებს იმას, რაც დღემდე გვინახავს, არ იმეორებს თბილისში ნამყოფი ორი ბერძნული თეატრის ტრადიციულ თუ სტილიზებულ ქორეების ნახაზს, არც ქართული კოლორიტით შესრულებულ თავისევე ოდიპოსის ქოროს. „ანტიგონეს“ ქორო განზოგადებული მაღალი სულია, რომელიც თავს ადგას თებეს ქვეყნის ადამიანთა ბედს და მართო ეს არ არწმუნებს

თავიანთი მოქმედების შეცდომა-შეუმცდარობაში, არამედ მოუტევეს კიდევ მათ. ამიტომ არის, რომ ქორო სოფოკლესავით დინჯი და განმსჯელია, ჩვენს მხსიერებაში წარმოსახული მოაზროვნის მარმარილოს სკულპტურული ნაქობა და მარმარილოზე დაკეცილი მზის აელვარებაცაა. ერთი სიტყვით, ეს ის არის, რამაც „ანტიგონეს“ ღრმა აზრისა და მეტყველი პლასტიკურობის გვირგვინი დაადგა.

ბევრის თქმა შეიძლება მსახობებზე, ნიჭიერ უკრაინელ შემსრულებლებზე, რომლებმაც შესანიშნავად გადმოგვეცეს სოფოკლეს გმირების შინაგანი სამყარო, სინატიფით და სიღრმით გააცოცხლეს უკრაინულ სცენაზე ანტიკური ქმნილება. თვითული მსახიობი პარტნიორის ხმისა და მოძრაობის ზუსტი შეგრძნობით ასრულებს თავის როლს და ერთ დიდ სცენურ იდეას ძერწავს. მომხიბვლელი, მაგრამ მორჩილი სული, შეშინებულის, მაგრამ სიკვდილს შეგუებული ახალგაზრდა ქალის ისმენას შთაბეჭდავი სახე შექმნა მსახიობმა მ. გერასიმენკომ. მან დიდი სცენური სითბო, მკაფიო აქტიორული მეტყველება და აზრის მომტანი გრატიული პლასტიკის უნარი გამოავლინა.

შესანიშნავად წარმოსახა ბემონის როლი. ს. ოლექსენკომ, რომელსაც მანამდე ვიცნობდით მხოლოდ ლაერტის როლის შესრულებით კინოფილმ „ჰამლეტში“. გამოკვეთილ სახეებს ქმნიან ო. დავიდენკო — ტირესი, ო. კუსენკო — ევრილოვა, ვ. ციმპალისტი — მაცენი, ა. კანევსკი — წინამძღვარი.

და, რასაკვირველია, სპექტაკლის ძლიერ საყრდენს წარმოადგენენ მეფე კრეონტი — ა. გაშინსკი და ანტიგონე — ს. კორკოშკო.

ალექსანდრე გაშინსკის კრეონტს დამაჯერებლად შეჰყავს მას შემდეგ სოფოკლეს სამყაროში. იგი მთელი თავისი აქტიორული სიძლიერით მეტყველებს: ადამიანო, არ მოიმოქმედო ის, რაც ადამიანობას ეწინააღმდეგება! მშვენიერი და ძლიერი ხმა, ტემპერამენტი, სკულპტურული გარეგნობა და აქტიორული ოსტატობა. — აი რამ წარმოშვა კრეონტის დაუფიქრებელი სახე.

ს. კორკოშკოს ანტიგონე პირველი მისი დიდი როლია და ესეც დაკავშირებული აღმოჩნდა რეჟისორის გუმანთან. დ. ალექსიძემ, როგორც მსახიობთან საუბარშიც დამარწმუნა, ძლიერი ბიძგი მისცა ამ ნიჭიერი აქტიორის ზრდას. კორკოშკო უხვად არის დაჯილდოებული მომხიბვლელი სცენური გარეგნობით, შინაგანი ტემპერამენტით, ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმით, სცენური გარდასახვის დამაჯერებლობით; კორკოშკო ალექსიძის „ანტიგონით“ მტკიცედ გავიდა ფართო აქტიორულ გზაზე.

ფარნაოზ ლაბიაშვილი ალექსიძის ჭეშმარიტი თანაავტორია. მისი დეკორაციული პარტიტურა მრავალხმიანი და არჩვეულებრივად მეტყველია. მხატვარმა, — კარგა ფერმწერალმა და კოლორისტმა, — სკულპტურული შეგრძნებით და ისტორიკოსის დამაჯერებლობით წარმოსახა თებელთა მხარე და თებელი ხალხი, სადაც ყველაფერი ისეა, როგორც ალბათ, იქნებოდა იმ უბედური სცენური გმირების ტრაგიკულ სიტუაციაში, მაგრამ არ არის არც ერთი დეტალი, შიშველი ეთნოგრაფიულობის შთაბეჭდილებას რომ ჰქმნიდეს. ლაბიაშვილის დეკორაცია სპექტაკლის სამოსელი როდია, მოქმედი გმირია სპექტაკლისა და შემადგენელი ნაწილია ტექსტისა. ლაბიაშვილის დეკორაციები ბუნებრივად არის ჩაწნული რეჟისორულ მიზანსცენებში. მისი ფაქტურა, კოლორიტი და ფერი ღრმად არის შეჭრილი ქორალურ მუსიკაშიც. ეს ისეთი მხატვრული გადაწყვეტაა, რაც ნიშნავს უნდა აიღონ ახალგაზრდა მხატვრებმა და მით უფრო ახალგაზრდა რეჟისორებმა. დეკორაცია სცენაზე უნდა მონაწილეობდეს, აზროვნებდეს, მეტყველებდეს, მოქმედებდეს და არა მართო ტრიალებდეს, ბრუნავდეს, როგორც ეს ზოგჯერ გვემართება ხოლმე.

და, როცა რეჟისორს და მხატვარს ბრწყინვალე მუსიკაც დაემატა, სპექტაკლის წარმატების ბედი გადაწყვეტილი აღმოჩნდა. კომპოზიტორის ძალა და ნიჭი იმაში გამოვლინდა, რომ მან მშობლიურ მელოდიებში იპოვა ზოგადადამიანური და პიესის საკაცობრივი იდეებს შეუთავსა. განა არ არსებობდა ცდუნება, რომ კომპოზიტორს ზუსტად ანტიკურის მიმსგავსებელი მუსიკა დაეწერა, როგორც ზოგჯერ მხატვარი ხატავს ხოლმე ზუსტად ანტიკურის მსგავსს. შემოქმედს უნდა სჯეროდეს თავისი ნიჭის და მაშინ იგი საკუთარი ხმით სევდა-სიხარულს სხეებისთვისაც მშობლიურად აქცევს. ასეთია მისი ქართული „შენ ხარ ვენახის“ მოტივებზე გაკეთებული ანტიკური ქორალი, რომელიც ერთნაირად მოეწონებათ ქართველებსაც და ბერძნებსაც. ხომ მოეწონათ იგი უკრაინელებსაც.

მოეწონათ მთელი სპექტაკლი, მოეწონათ იმიტომ, რომ იგი არის ოსტატობის ნაყოფი, ტრადიციისა და ნოვატორობის შეხამების ისეთი კარგი შედეგი, რომელიც გვამდიდრებს, გვამაღლებს და გვახარებს. ჭეშმარიტი ხელოვნების დანიშნულება კი ახა სხვა რა არის?

იღვარა ეჭვი  
რუსთაველის თეატრის რეჟისორი



# სიტყვა, ტექსტი და სიტყვის მარჯობა

აკადემიკოსი

შალვა  
ნუსხუჩიძე

როდესაც ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა შეამჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ნეოპლატონიკური ტერმინები, და ისინი საქართველოში V საუკუნე-დან ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს პროკლეს დაუყვარა, რუსთაველის იდეების კვლევაში ეს გარემოება დიდ მიღწევად იქნა მიჩნეული. მეცნიერებაში იმ დროს არ იყო საკმაოდ ცნობილი, რომ პროკლე საფეხური იყო დიდი ქართველი მოაზროვნის — პეტრე იბერიასთვის (411-491) ანტიკური ფილოსოფიის შემკვიდრების განვითარების გზაზე. 1942 წელს საბჭოთა მეცნიერებაში უკვე გაიკვია, რომ პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისეს) მსოფლგაგება საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლგაგებას; ამ შეხედულებამ დასავლეთშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

დადგა დრო, როცა რუსთაველოლოგიამ ხელი უნდა მოკიდოს რუსთაველის სიტყვასმარების შესწავლას მისი არკომატიკული წარმოშობის თვალსაზრისით. წინამდებარე წერილიც ასეთი კვლევის ნიმუშს წარმოადგენს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში გვხვდება ზოგიერთი სიტყვა, რომელთა გაგება ერთგვარ სიძნელეს შეიცავს; ეს სიძნელე გამოწვეულია არა იმით, რომ ეს თითქმის ნახსენები, უცხო სიტყვები იყოს. რათქმა უნდა, რუსთაველს არა ერთხელ აქვს გამოყენებული უცხო სიტყვები — ბერძნული, არაბული და ა. შ. ხანდახან ის ასეთ სიტყვების გასაგებად ქართულ სიტყვებს მოიხმარს. აი, მაგალითად „ვითა ვეფხე წავარსა და ჭაბუბი აქვსო სახლად, შენა“ (სტ. 700); ამ ბოლო სიტყვის გასაგებად გამოყენებულია სიტყვა სახლი, ბინის მნიშვნელობით. ბერძნული სიტყვა „სიერა“, „სირას“ სახით გადმოღებული (სტ. 884), გაუგებარია როგორც უცხო სიტყვა და მისი გაგება შესაძლებელი ხდება საზაროვნო კონტექსტით: ეს ნეოპლატონური ცნებაა, რომელიც ამ კონტექსტში სულთა საყოფიერს ნიშნავს.

ამ ხასიათის მქონე სიტყვებისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევა, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ქართული სიტყვა გვაქვს, მაგრამ მისი გაგება ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. ასეთია მწმ სტროფის მეოთხე ხანაში მოცემული სიტყვა „დიდი“:

კაცი არ ყველა სწორია,

დიდი ძეს კაცით კაცადის.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „დიდი“ ამ სტროფში? ეს შემთხვევა არ ჰგავს არც პირველს, შემოთმოსყვანილ სიტყვასმარებას, სადაც ქართული სიტყვა „სახლი“, სინონიმური პარალელიზმის წესით, მიუძღვება არაბულ „მენას“, შემომაყვანს იგი ქართულში და გასაგებს ხდის მას. არ ჰგავს არც მეორე, ასევე შემოთმოსყვანილ სიტყვასმარებას, სადაც იხმარება მეტად სპეციფიკური სიტყვა „სირა“, დამახასიათებელი ნეოპლატონიზმისა და მისგან განვითარებულ ე. წ. არკომატიკისათვის. მართალია, ნეოპლატონიზმში (მაგ. პროკლე) და არკომატიკის ფუძემდებელი პეტრე იბერი სხვადასხვანაირად ხმარობენ სიტყვა სირას (პირველი „წყების“ — სულთა წყების ანუ საყოფიერის მნიშვნელობით), მეორე კი „მრავალ ნათელთა ჭაბუვის“ (ბერძნულად „პოლიუფოტოს სირა“. იხ. „საღმრთოთა სახელთათვის“, 8, 1) მნიშვნელობით, მაგრამ ორივე გაგების წესი საზაროვნო სიტუაციაზეა დამოკიდებული.

„დიდი“ კი ქართული სიტყვაა და მას არც პარალელური სინონიმი ახლავს განსამარტავად და არც საზაროვნო სიტუაცია შევლის, რადგან ფრაზა „კაცი არ ყველა სწორია დიდი ძეს კაცით კაცადის“ არ იხსნება მანამდე, სანამ ან ქვემდებარე „დიდი“, ან შემასწავლებელი — „ძეს“ რადიკალირად არ იქნება ახსნილი. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმის გაგება, თუ რის თქმა უნდაა აქ რუსთაველს.

შესაძლებელია აქ გადამწერის შეცდომა იყოს?

მაგრამ სიტყვა „დიდი“ ასეთ შესაძლებლობას გამოირიცხავს, რადგან არავითარ ვარიანტს არ ითმენს; ან კიდევ, „ძეს“ ნაცვლად ხომ არ იყო აქ თავდაპირველად სიტყვა „ძე“. ასეთ დაშვებისას მიიღებოდა ფრაზა „დიდი ძე კაცით კაცადი“.

ცნობილია, რომ იერარქიული, ე. ი. საფეხურებრივად წარმოდგენილი ქვეყანა, ადამიანთა, ე. ი. კაცთა ჩათვლით, ითმენს ასეთ გამოთქმას: „დიდი ძე კაცით კაცადის“. აქ განაკაცებული ღმერთი მაღალ საფეხურზე იქნებოდა და ჩვეულებრივი კაცი — დაბალზე; ეს იქნებოდა იერარქიული გადასვლა; იყო ერთ დროს ასეთი თვალსაზრისიც, მაშინ გამოვიდოდა, რომ „კაცი არ ყველა სწორია დიდი ძეკაცით კაცადის“, და ამას იერარქიული აზრი ექნებოდა.

ასეთ წაკითხვას, რაც შინაარსეულად თითქმის მისაღები ჩანს, ეწინააღმდეგება პეტრე იბერის მთავარი ნაწარმოები — „საღმრთოთა სახელთათვის“ (გვ. 80, თავი 2.) ირკვევა, რომ „დიდი“ ადიექტივი კი არ არის, არამედ ღვთაების სახელდება, რომელშიაც შედის ყველა ნიშანი, რომელიც პეტრე იბერის მოძღვრების თანახმად მიეკუთვნება „ზეშთასავსებობას“. თუ ეს ასეა, და სწორედ ასეთია პეტრე იბერიასგან განვითარებული ეს ცნება „დიდისა“, მაშინ გასაგები ხდება, როგორ უნდა იქნას გაგებული როგორც სიტყვა „დიდი“, ისე მთელი ეს ადგილი „ვეფხისტყაოსანისა“.

უნდა ვიცოდეთ, რომ პეტრე იბერი ფორმალურად საღმრთო წერილის ცნებათაგან ამოდიოდა, იგი თითქმის იფარგლებოდა ამით, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული საფარი იყო. გადაქონდა რა საეკლესიო ცნებები უარყოფითი დიალექტიკის სფეროში, იგი არსებითად გადაახალისებდა ხოლმე მათ. ამ სახით საეკლესიო ცნებები იმდენად იცვლებოდნენ, რომ დოგმატიკური აზროვნებისათვის მიუწვდომელი რჩებოდნენ. ასეთ სახეს იღებს „დიდის“ სახით მოცემული „უსახო“ ღვთაება.

ვცადოთ ამ ადგილის გაგება. პეტრე იბერი წერს: „დიდი უკვე სახელ ეღებოს ღმერთსა თვისაგან მისა და განუთვნილობისათვის დიდისა და ყოველთა დიდთა მისისა სიდიდისაგან მიმცემლობისა“. მაშასადამე, „დიდის“ სახელდებას, პეტრეს აზრით, ჰქონია ორი მხარე: პირველი — ის თავისთავს განაკუთვნებს დიდსა და მეორე — ამ სიდიდისაგან მისცემს სხვათაც. რაში გამოიხატება ეს „თავისთავის მიკუთვნება დიდისადმი“ და „სხვისადმი განაკუთვნება“? გამოიხატება იმაში, რომ „გარეშემოსწერს ყოველსა სიდიდესა, ზეშთაგარდაფინების და გარე შეიცავს ყოველსა ადგილსა, ზეშთადემატების ყოველსა რიცხუსა და ზეშთა გარდადვლის ყოველსა ურიცხვებდას“. ეს დიალექტიკური გამოხატვა ყოველის უზეშთაობისა ისე, რომ „ყოველით კერძო მოუკლებელ არიან და იგივე აქუს ზეშთასავსებობა“. გამოდის, რომ მიმღებთათვის სიკეთის გადაცემა არ ამცირებს დიდის (ე. ი. ღვთა-

ების) სიკეთის რაოდენობას, რადგან ეს რაოდენობა იგულისხმება როგორც ყოველ რიცხვთა მიღება მყოფი, ანუ უზეშთაობის. პირიქით, გადაცემა სიკეთისა დიდისაგან მიმღებელთა მიმართ — ადიდებს და ამცირებს სიკეთის დიდისა.

ამას ამბობს პეტრე იბერი, როდესაც წერს: „რამეთუ არა დამცირდებთან მისაღებლობითა (სიკეთისა — შ. ნ.), არამედ უფროსი ზეშთადემოციენებთან“ (იქვე).

სავსებით თანამედროვე ქართულით რომ ითქვას, მთელი ზემოთმოყვანილი აზრი იმის აღიარებაა, რომ რასაცა ვასცემს „დიდი“ მიმღებელთათვის, იგი კი არ იკარგება, არამედ ისევ მას უბრუნდება და მეტის სახით აღმოცენდება, ან მიეცემა.

შეგინწნოთ სხვათაზორის, რომ ამ ადგილზე (პეტრე იბერი — შრომები, თბ. 1961, გვ. 80, ს. ენუქაშვილის გამოცემა) ნათლადაა გადმოცემული ის აზრთა წყობა, რომელიც რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ გამოიყენა თავისი ცნობილი აფორიზმისათვის: „რასაცა ვასცემ შენა, რაც არა დაკარგულია“. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

დიდის ცნება არ არის შედარებითი და ამდენად ადიექტივის არ წარმოადგენს. იგი თავისთავადი ღირებულებაა. ის მით კი არ არის დიდი, რომ რადიკალს მიმართ მეტია. მეტნაკლებობა აქ სხვა სფეროს ეკუთვნის, რაც ჩვეულებრივი, არა დიალექტიკური მარტივის სფეროს ეკუთვნის. პეტრე იბერი პირდაპირ გვეუბნება:

„ეს სიდიდე განუწომელიცა არს და ურაოდენო და ურიცხუ“. ამით მას იმის თქმა უნდა, რომ „დიდი“ არ უნდა იქნას შედარებითად, რელატივურად გაგებული. აქა პეტრეს დიალექტიკური აზროვნების ერთი უბრწყინვალესი ადგილი. თუ ის უმაღლესი სიკეთე განუწომელია, ურაოდენო და ურიცხუ (ურიცხვი — შ. ნ.), მაშინ ის იმდენად დიდია, რომ მის მიმართ გრამატიკულ შედარებას აზრი ეკარგება. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უდიდო დიდია, „უსახო სახე“, ანუ აბსოლუტურად დიდი. რუსთაველის გრამატიკის მკვლევარმა, თუ ასეთი გაჩნდება, უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება, რომელიც პეტრეს ნეგატიურ დიალექტიკას ემყარება და ამ სახით პირდაპირ გადადის „ვეფხისტყაოსნის“ მეტყველების აღნაგობაშიც.

ერთი სიტყვით, „დიდი“ განფენილია მოკლენათა შორის, რათა მიაკუთვნოს და მისცეს ადამიანებს სიკეთე, ხოლო რაოდენს მიიღებს ამ სიკეთის მიმღებელი, ეს დამოკიდებულია უკანასკნელის მზადყოფნისაგან, დამოკიდებულია იმაზე, დაიტევს და აითვისებს თუ არა ის მოცემულს. ხოლო თვით დიდი „თავსა შინა თვისსა მდგომ არს... უცვალებლად, განუფრდომელად, დაუციმელად, დაუხსნელად, შეუტრევნელად, უნივთოდ, მარტივად“ და ასე, მრავალ ნიშნით უსაზღვროდ დახასიათებული, გადაეცემა ეს უსაზღვრო სავსებობა ყველას.

მაგრამ ყველას არ აქვს უნარი ერთნაირად მიიღოს ეს დიდი ნაბოძარი სავსეობა. „სრულ არსად“ ყოფნა მხოლოდ დიდის წილია. დიდისაგან ნაბოძარის მიღებელი კი უნდა იყოს „მარჯვე“, „განდმრთობილი“ ე. ი. თავისი ყოფით ღმერთთან მიახლოებული, „თეოზისის“ გზაზე დამდგარი. ამის კვალობაზე მიიღებს ის ბოძებულ სიკეთეს.

ამიტომ ამბობს პეტრე იბერი: „მარადის არსი და თვით სრულ-არსი და იგივედ მყოფი... თავსა მიერ თავისისა ყოველთავე სიმარჯვისაებრ მათისა მიმღებელთა გამოუბრუნებელს და სხუათა-თანა დაუწყებელს სიმდიდრითა და მიწეყოფითა იგივეობისათა“ (ციტ. ნაშრ. გვ. 81).

ამდენად „დიდი“ არის განფენილი კაცთა შორის, ანუ რუსთაველის ენით რომ ითქვას, „დიდი ძეს კაცით კაცამდის“. ღმერთზე რომ იყოს კაცთა შორის მსგავსების დადგენა, ამას ორი შედეგი უნდა მოჰყოლოდა: პირველი — აღამიანთა შორის მსგავსება, და მეორე — მათი ღმერთისადმი მსგავსება. ნათელია, რომ პეტრე იბერის მოძღვრებით ეს დაუშვებელია (გვ. 82, 83.), რადგან ყოველივე დამოკიდებულია აღამიანის „განდმრთობისაგან“, ე. ი. რამდენად ღირსია ის თავისი მოქმედებით მეტი სიკეთის „დატევნებისა“. მთავარია, პეტრეს თქმით, „ჩვენი მისდა (ღვთებისადმი — შ. ნ.) და არა ღმერთისა ჩუენდა მსგავსება“ (დას. ნაშრ. გვ. 82). ახეთ პირობებში არ იქნებოდა, პეტრეს აზრით, წინააღმდეგობა, „რამეთუ იგივე მსგავსცა არს ღმრთისა და უმსგავსოცა“ (გვ. 82).

არ არის საჭირო გამოვუდგეთ იქვე განვითარებულ მოძღვრებას — ღმერთისათვის „მცირეს“ წოდებას, რადგან ეს გართულებდა რუსთაველის წყაროს მიგნებას — თუ საიდან და როგორ ამოიღო მან „დიდის“ ცნება. რა თქმა უნდა, დიალექტიკურად მოაზროვნე პეტრე იბერს არ სურს გაუშვას შემთხვევა და ღმერთის „დიდობა“ დაადგინოს მისი „მცირობასთან“ თავისებურ დაკავშირებით, რადგან როგორც დიალექტიკოსს მას სჭერა, რომ დადებით-უარყოფითი გზით დადგენილი ცნება „დიდისა“ უფრო მტკიცე იქნებოდა.

არ არის საჭირო გაგრძელდეს „დიდის“ ცნების მიმართ პეტრეს შეხედულების ტექსტუალური დაზუსტება. ნათელია, რომ ეს არის ურაოდენო და ურიცხვი შემთავოფობა, რომელიც პეტრეს თეოლოგიის პრინციპების მიხედვით უდრის როგორც ღმერთს, ისე უმაღლეს სიკეთეს, სინათლეს, სავსეობას და ა. შ. ამდენად, აქ ღმერთი, დიდი, სავსეობა და უმაღლესი სიკეთე ერთი და იგივე ამბავია.

მაშასადამე, „დიდი ძეს კაცით კაცამდე“ შეიძლება წავიკითხოთ არა მარტო ისე, რომ „ღმერთი ძეს კაცით კაცამდის“, ანუ სიკეთე ძეს კაცით კაცამდის; კაცის მიმართება „დიდისადმი“ ცვალებადია, რადგან „კაცი არ ყველა სწორია“; ცხადია, რომ აქ მიზეზი ამ უსადარობისა არის კაცის დიდისადმი „მსგავსების“, ე. ი. „მიახლოების“ საფეხურებრივობა, არის „განდმერთობის“ სხვადასხვა ხარისხი. ამისგან დამოკიდებულია სიკეთის მიღების ანუ „დატევნების“ სხვადასხვა ოდენობის უნარი.

ახლა კი აშკარა უნდა გახდეს, რომ სტროფი: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ უბრალო კი არა, არამედ მეტად რთული და ღრმა აზრების ამოკითხვაა რუსთაველის მიერ სიბრძნის იმ ღრმა ვითარებიდან, რომლის მეტად თუ ნაკლებად გარკვევა ასე აუცილებელი შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ამ თითქოს პატარა ადგილის გასაგებად. უნდა აღინიშნოს, რომ აქ არეობაგტიკის მთელი დამახასიათებელი მომენტების გათვალისწინებაა საჭირო ასეთი გაგების მისაღწევად.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტში არავითარი ცვლილება არ არის საჭირო. რუსთაველს, პეტრე იბერის ტექსტის კარგ მცოდნეს, ეს უკანასკნელი გამოუყენებია ისე, როგორც ის მოცემულია. არ შეიძლება ითქვას, რომ მას მიზნად ჰქონდა არ დაესახებებია მოყვანილ ადგილზე ღმერთი, თუმცა „დიდი“ ღმერთსაც, უმაღლეს სიკეთეს და სხვასაც ნიშნავდა.

რუსთაველოლოგიაში ეს გარემოება თითქმის არ არის აღნიშნული. ამის გამო რუსთაველის ტექსტი, თითქოს უდავო, გაუგებარი რჩებოდა, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგიისათვის პეტრე იბერის ნააზრების მნიშვნელობაზე მითითებამდე, არავინ იცოდა საიდან მოდის სიტყვა „დიდი“ და რას უნდა ნიშნავდეს იგი. ამის გამო ქართულ დედანში ტექსტი უცვლელი უნდა დარჩეს. სიძნელეს ქმნის მხოლოდ თარგმანი, ქართული ტექსტის ცოდნა დღემდე საქმეს არ შეგულოდა, და „დიდი ძეს კაცით კაცამდის“ თარგმანში სრულიად უაზრო ჩანდა.

ყოველი გადამეტების გარეშე უნდა აღვიარო, რომ მეოთხედი საუკუნის მანძილზე არეობაგტიკულ ტექსტზე მუშაობის შედეგად ნათელი გახდა ჩემთვის ყოველივე, რაც ზევით არის მოხსენებული. ამიტომ, უპირველესად ყოვლისა, საყვედური მეკუთვნის მე, რომ ასე დაგვიანდა საქმის ნაღვლი

ვითარებამდე მიღწევა. „ვეფხისტყაოსნის“ პარველსავე (1941 წლის) გამოცემაში ჩემს თარგმანს მხოლოდ ის ემჩნევა, რომ აღამიანთა შორის განსხვავება, რაღაც „მსოფლიო ზღვარი“ (Грань мирская) „ძეს“-დევს. ეს დიდი უპირატესობას არ ქმნიდა სხვა თარგმანებთან შედარებით, მაგრამ ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ.

შესადარებლად ავიღოთ ჭერ პეტრენკოს თარგმანი:

Ах, во многом не подобен  
человеку человек.

გ. ცაგარელი ასე თარგმნის:

Смертный смертному не равен,  
мерой их одной не мерь.

ბ. ზაბოლოცი:

Не равны друг другу люди  
и не сходят их желания.

ჩემი თარგმანი 1941 წლისა:

Не равны судьбою люди,  
между ними грань мирская.

არც ერთი ეს თარგმანი არ ვარკვ. ჩემი თარგმანის უკანასკნელ თბილისურ გამოცემაში რედაქტორებმა შესწორება შეიტანეს, რის შემდეგ იგი იკითხებოდა ასე:

Не равны на свете люди,  
между ними грань большая.

დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ „ნა სვეტი“ სრულიად უადგილოა, ხოლო „მირსკიას“ ნაცვლად „ბოლშოიას“ ხმარება საქმის გაუარესებაა.

რუსთაველი რომ სიტყვა ღმერთის ხმარების მომხრე ყოფილიყო, მაშინ იგი დაწერდა: „ღმერთი ძეს კაცით კაცამდის“, მაგრამ რადგან მან ეს არ ქნა, უნდა ვისარგებლოთ მეორე შესაძლებლობით, რომლის ძალით „კაცი არ ყველა სწორია“, ვინაიდან მისი (კაცის) მიმღებლობა სიკეთისა — არ არის სწორი.

ყველა შემონათქვამიდან ცხადია, რომ „დიდი“ უნდა ითარგმნოს როგორც „სიკეთე“, განაწილებული კაცთა შორის, „მისი დატევნების“ მიხედვით. მაშასადამე, სიკეთე, როგორც „დიდობა მისისა (ღმერთის — შ. ნ.) სიდიდისაგან მომცემლობისა“, „ძეს კაცით კაცამდის“ და ქმნის მათს უსწორობას.

რუსულად ეს იქნებოდა:

Не равны друг другу люди,  
Благо в них — их грань мирская.

# ნიგნაუი



თქვებოდა, ილიებდა სოფელი. ილიებდა მზის შორეული ნათელი პირუბანის ბაზმაროს მთა. სოფელში ბრუნდებოდა ომის ცეცხლგამოვლილი, მოღლილ-მოქანცული ორი მეგობარი.“

ასე იწყება იაკინთე ლისაშვილის ახალი რომანი „ნანგრევებზე“.

მწერალი მოგვითხრობს ომგადაზდილი ვაჟკაცების — გრიგოლისა და გოგის, მათი შვილების, მეგობრებისა და მეზობლების ცხოვრებაზე, და ამ გზით ნათლად წარმოგვიდგენს თვალწინ საკოლმურნიე სოფლის სახეს.

ისინი ადრეც კარგი მეზობლები იყვნენ, მაგრამ ფრონტზე უფრო მეტად დამეგობრდნენ, გრიგოლმა მძიმედ დაჭრილი გოგი სამშვიდობოს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.

მაგრამ აი, სოფლად, შინ დაბრუნების შემდეგ მათ შორის საქმიოდ მძლეობი კონფლიქტი წარმოიშვა.

საქმე ის არის, რომ გრიგოლი ვედარ ერევა კერძო მესაქუთრულ გან-

წყობილებებს, ცდილობს ჩაიკეტოს თავის თავში, თავის ეზოში, გაურბის კოლექტიურ შრომას. ის მალაღი კედლით შემოზღულდავს თავის ეზო-გარემოს.

ეს განკერძოება სოფლისაგან, ეს განზე გაღვომა მეტად საშინელ დაღს ასვამს ამ აღამიანის მთელ ცხოვრებას; თავის საქციელით გრიგოლი გზას გაუმრუდებს თავის ქალიშვილს-ნანას, ჩამოაშორებს მას შეყვარებულ ქაბუქს და ახალგაზრდა ქალი არაერთ უბედურებას გადაეყრება.

რომანში წამოჭრილია ახალგაზრდობის ყოფისა და მორალის უაღრესად აქტუალური და მტკიცეული საკითხები.

ავტორი ხატავს ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, ოჯახში, საზოგადოებრივ საქმიანობაში; მკითხველი ნათლად ხედავს, თუ როდენი ზიანის მოტანა შეუძლია ძველი, კერძომეცაყუთრული ჩვევებისა და მორალის გადმონაშთებს.

მოქმედების მთელ მანძილზე ჩვენ მოწმენი ვხვდებით იმ გარდატეხისა, რომელიც ამ აღამიანების სულში ხდება. მეზობლების, მთელი სოფლის, უახლოესი მეგობრის გავლენით გრიგოლი ხვდება, თუ როდენ ყალბი და

მრუდე იყო ის გზა, რომელიც მან აირჩია. ჯიუტობით აშენებული კედელი ინგრევა, გრიგოლი თავისუფლად ამოსუნთქებას, მაგრამ ახლა, როცა გაითვალისწინებს რაოდენი ზიანი მოიტანა მისმა სიჯიუტემ, ღრმა სინანულს მიუცემა. „გზა-კვალი მე ავირევი, ვის დავაბარალო“, ეუბნება ის თავის შვილს.

მთელი რომანი გამსჭვალულია ახალი ყოფის, ახალი მორალის განმტკიცებისათვის ბრძოლის პათოსით; ავტორი გვიჩვენებს ჩვენს თანამედროვეებს, რომლებიც ზრუნავენ არა მარტო იმისათვის, რომ სახალხო დოვლათი განუწყვეტლოვ იზრდებოდეს, არამედ იმისათვის, რომ აღამიანის სულში საბოლოოდ გაიმარჯვოს ნათელმა საწყისმა, გაიმარჯვოს სიკეთემ და სილამაზემ.

იაკინთე ლისაშვილის რომანში კარგად არის გადმოცემული მძაფრი, დრამატუზმით აღსავსე ბრძოლა დრო-მოქმედი და დახვსებული ყოფისა და ჩვევების წინააღმდეგ, აქვე ნაჩვენებია გამარჯვება ახალი, საბჭოთა მორალისა.

მ. ქიშიშვილი



# ბიზნესი და ზღვის ყაჩაღობა

აი უკვე ოცი წელია, რაც დასავლეთის პრესის ფურცლებს არ შორდება „მეკობრეთა დედოფლის“ მაღამ ვონგის სახელი. ამ ქალის წინაშე უსუსურნი აღმოჩნდნენ ჰონკონგის, მაკაოს, ფილიპინებისა და იაპონიის პოლიციური ხელისუფლებანი; თუ ოფიციალურ განცხადებებს დავუყვარებთ, პოლიციის წარმომადგენლებს მაღამ ვონგის გარეგნობის სიტყვიერი აღწერილობაც კი არა აქვთ, ფოტოსურათზე რომ არაფერი ვთქვათ; და თითქოს ამიტომ მაღამ ვონგი მრავალი წლის განმავლობაში ახერხებს მაღალი ბრწყინვალეობიდან თავის დაღწევას.

ცნობები, რომლებიც ეურნალისტებმა მოიპოვეს, ერთი შეხედვით ბევრად უფრო დამაჯერებელი ჩანს. მათი წერილებიდან შეიძლება შეიტყუოთ, რომ ყოფილი მოცეკვავე ქალი მაღამ ვონგი „დაჯილდოებულია მდიდარი ფანტაზიით, ჰკვიანი და საოცრად უშიშარია; გატაცებით უყვარს აზარტული თამაშობანი“, ფლობს რამდენიმე სამეძაო სახლს, ატარებს ასეთ და ასეთ საყურებს და აცვია შავი კაბა, ამასთან, მუდამ შეიარაღებულია სამი რევოლვერით.

ასეა თუ ისე, ათი ათასი ოქრო, რომელიც ჯილდოდ გამოაცხადა პორტუგალიის პოლიციამ „აღმოსავლეთის ყველაზე იღუმალი ქალის“ (ასე უწოდა მაღამ ვონგს სინგაპურის გაზეთმა „სტრეიტს ტაიმსმა“), გასაოცრად მოხერხებული გაიძვირას ფოტოსურათისათვის, დღემდე ხელუხლებელია და, როგორც ჩანს, არც არასოდეს არ იქნება ვადარიცხული ვისმე საბანკო ანგარიშზე.

საქმე ისაა, რომ ყველამ, ვინც კი მოისურვა ამ უზარმაზარი თანხის ხელში ჩაგდება და ნადირობა დაიწყო მაღამ ვონგის ფოტოსურათზე, საოცრად იღუმალ გარემოებაში ტრაგიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. გაზეთების მოწმობით, მაღამ ვონგმა, თავისი მეუღლის, ჩანკაიშელთა მთავრობის ყოფილი მოხელის, მეკობრეთა ატამანის გარდაცვალების შემდეგ, საკუთარი ხელით განგმირა მისი ორი თანაშემწე, რომლებმაც ხელმძღვანელის ადგილის დაჭერა სცადეს. მაღამ ვონგის სიმდიდრეს ათეულ და ასეულ მილიონობით დოლარით ანგარიშობენ. როგორც ფიქრობენ, მის განკარგულებაშია ათობით და ასობით ხომალდი, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ზღვაში დათრევიან. მისი „არმია“ კი, სულ ცოტა, სამოთხეთას კაცს აჭარბებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ მოურჩულეებ-

ლი მტაცებლის ასავალ-დასავალი კაცმა არ იცის.

ნუთუ მართლა ასე შეუძლებელია მაღამ ვონგის ვინაობის დადგენა? ნუთუ ეს იღუმალებით მოცული ქალი წარმართავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელ დანაშაულებრივ სამყაროს? ვინ დგას მის ზურგს უკან?

\*\*\*

1951 წლის ბოლოს ჰონკონგში საიდუმლოდ ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი კორნაიტი. მას დავალებული ჰქონდა გაეგო ვინ ძარცვავდა კორეაში მყოფი ამერიკელი ჯარებისათვის განკუთვნილი იარაღით დატვირთულ გემებს. საჭირო იყო იმ ხმების დაზუსტება, რომ გემებზე თავდასხმები მაღამ ვონგის ბანდის საქმე იყო. და თუ ეს დადასტურდებოდა, საჭირო იყო მეკობრეებთან ანგარიშის გასწორება. ამ ოპერაციის განსახორციელებლად კორნაიტი მოამარაგეს დიდძალი ფულით, მასვე გამოუყვეს ამერიკელ აგენტთა ქსელი ჰონკონგსა და მაკაოში. კორნაიტმა სულ მალე მოახერხა იმ ადამიანების პოვნა, რომლებიც მაღამ ვონგის უახლოეს წრეში შედიოდნენ.

და აი, 1952 წლის იანვარში კორნაიტი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. მის ვეება პორტუგალიაში იღო არა მარტო მაღამ ვონგის ათამდე ფოტოსურათი, არამედ მისი ზუსტი მისამართებიც ჰონკონგში, მაკაოსა და ფილიპინებზე.

თითქოს უნდა დამდგარიყო მაღამ ვონგის აღსასრულიც — საქმარისი იყო მარტო ეს ცნობები პოლიციისათვის გადაეცათ. მაგრამ მეკობრეთა დედოფლისათვის ხელი არავის უხლავდა. აღენ დასესმა, იმ ხანებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილემ, მთელ საქმეს ასეთი დასკვნა გაუკეთა: „მართალია, მაღამ ვონგს ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა ამერიკული სამხედრო ქონების განსაზღვრული ოდენობის გატაცებისათვის, მაგრამ მისი დაპატიმრება მაინც არ შეეფარდება შეერთებული შტატების ნაციონალურ ინტერესებს“. ამის თაობაზე კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დასმული შეკითხვა დღემდე უპასუხოდ არის დარჩენილი, ხოლო მთელი ეს ისტორია მოხერხებულად ჩაფარცხეს.

მაღამ ვონგი გაფრთხილებულ იქნა,

რათა მას შეეწყვიტა თავისი „ცელქობა“ შეერთებული შტატებისა და მის მოკავშირეთა საეჭირო გემების მიმართ და ურჩიეს ვადართულიყო „თავისუფალი სამყაროს დასახმარებლად შორეულ აღმოსავლეთში კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მაღამ ვონგის ბანდა უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილა. მას ახალი ბიზნესი შესთავაზეს — ოქროს კონტრაბანდისტული ვადაზიდვა. ეს ბიზნესი გემების ძარცვაზე უფრო სარგისი საქმე გამოდგა. მაკაოს გენერალ-გუბერნატორთან არსებულ ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორთან, დოქტორ პედრო ხოზე ლობოსთან ნაცნობობამ მაღამ ვონგი კონტრაბანდისტული „ოქროს ბიზნესის“ ერთ-ერთ მთავარ ბოზოლად აქცია. იგი ვახდა ოქროთი ვაჭრობის საერთაშორისო სინდიკატის ერთ-ერთი კონტრაგენტი. ყოფილი მოცეკვავე ქალი სწრაფად იქცა გამოჩენილ პიროვნებად საქმოსანთა სამყაროში. ინგლისის პოლიციის ოფიციალური მონაცემებით, ძვირფასი ლითონის არალეგალურ გადაზიდვასთან დაკავშირებული ხუთი უდიდესი ბიზნესმენის, მათ შორის მაღამ ვონგის ხელში ყოველწლიურად ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების ოქრო გადის. თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ „სამსახურისათვის“ ისინი იღებენ ამ ღირებულების 5-10 პროცენტს, მაშინ გამოდის, რომ მათი მოგება 50-100 მილიონ დოლარს შეადგენს. ასეთი შემოსავლის მქონე ადამიანების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად უსუსურნი არიან პოლიციაც, სასაზღვრო დაცვაც, სანაპირო პატრულებიცა და საიდუმლო აგენტებიც.

სულ უფრო იშვიათად ჩნდებიან მაღამ ვონგის პირად ცხოვრებაში „ცხვირის ჩაყოფის“ მსურველები. ერთხელ ჰონკონგის ინგლისური პო-

ლიციის სამმართველოში გამოცხადდა ახალგაზრდა ფილიპინელი, რომელმაც განაცხადა, რომ რამდენიმე წლის მანძილზე იგი შედიოდა მაღამ ვონგის ბანდაში და თუ სათანადოდ დააჯილდოებდნენ, შეატყობინებდა პოლიციას მის მისამართს მაკაოში. მითითებულ ვილაში მართლაც ცხოვრობდა შუახნის ლამაზი ქალი, რომელიც მაღამ ვონგს წააგავდა. ინგლისურ პოლიციას ისა დაარჩა, მოლაპარაკებოდა პორტუგალურ პოლიციას და დაუპატიმრებინათ „ლეგენდარული“ ბოროტმოქმედი. მაგრამ აქ ინგლისის პოლიციის საქმეებში ჩაერია... ინგლისის სამხედრო დაზვერვა, რომელმაც აკრძალა ამ ქალის დაპატიმრება.

\*\*\*

ამ უკანასკნელ წლებში მაღამ ვონგის ბიზნესი სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი ხდება. მის დანაშაულებათა სიას, მეკობრეობასა და კონტრაბანდის გარდა, დაემატა ოპიუმითა და „ცოცხალი საქონლით“ ანუ მონებით ვაჭრობაც.

ინგლისელი ეურნალისტი ჯონ ლაფონი უწინალ „უაიდ უორლდში“ წერდა: „როგორც ჩანს, მაღამ ვონგი აუღებელი ციხეა. მას კი მხოლოდ ორმოცდასამი წელი შეუსრულდა, და ამიტომ მას კიდევ მრავალი წლის მანძილზე შეუძლია აკეთოს თავისი ბიზნესი საქმე“.

რას იზამ, მაღამ ვონგს სრული საფუძველი აქვს ამის იმედი იქონიოს. მას მხარში უდგანან ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ინგლისის ინტელიჯენს სერვისი (სამხედრო დაზვერვა), მაკაოს პორტუგალიური ხელისუფლება; ამასთან, მას მრავალმილიონიანი ქონება აქვს. ყოველივე ეს მას ჭერჭერობით შესაძლებლობას აძლევს ოთარეშოს ისე, როგორც თვითონ მოეპოვებინა.

ა. აბულაძე

საქ. სსრ კ. მარტოსი  
სახ. სახ. რისკობა



დოქტორობას ანიჭებენ...  
პარკები

ამერიკის შეერთებულ შტატებში აიღახოს შტატის უნივერსიტეტმა ამას წინათ „მონორის კაუსას“ წესით დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა ნიუ-იორკის ერთი რესტორნის მებატონეს. როგორც იუწყებიან, ახლად გამოცხვარი „დოქტორი“ ამ შტატში მოყვანილი პამიდორისაგან მრავალფეროვან და საუკეთესო კერძებს ამზადებს.



წვიმა, რომელიც არასოდეს არ  
წყდება

ყველაზე წვიმიანი ადგილი დედამიწაზე პარაგვაიშია (სამხრეთ ამერიკა), ბრაზილიის საზღვრის ახლოს, სადაც მდინარე პარანა თითქმის ორ ათეულ შტოდ იყოფა. აქ უხვოვარ დროიდან განუწყვეტლივ მოდის წვიმა. ამის მიზეზი ჩანჩქერი გუაირაა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩანჩქერია მსოფლიოში, ძლიერ ქარს, დენიდაც რომ უბერავს მთებიდან, წულის წვრილი წვეთები დაბლობიბში გადმოაქვს დაუსრულებელი წვიმის სახით.



ზეჩარბი პარსმა

ახალშელანდიელმა კოლინ ბოშერმა დაამყარა ცხვრის სწრაფად პარსვის ახალი მსოფლიო რეკორდი. თავისი ხელოვნების დემონსტრაციის პირველსავე საათში მან „ქუჩიკი გახადა“ მან ცხვარს, მომდევნო საათ-

ში — 70 პირუტყვს. სულ 8 საათისა და 58 წუთის განმავლობაში გაპარსა 565 ცხვარი.


სანტერესოა, რომ მატყლის პარსვის დემონსტრაცია უნდა გაგრძელებულიყო 9 საათის მანძილზე, მაგრამ დამთავრდა 7 წუთით ადრე — ფერმაში აღარ იყოთ ცხვარი!

ცხვრის პარსვის რეკორდი ადრე ახალშელანდიელს გოდფრი ბოუენს ეკუთვნოდა. 9 საათის მანძილზე მან გაპარსა 468 ცხვარი. სხვათა შორის, ბოუენი ამას წინათ სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში და თავის ტექნიკას უჩვენებდა ჩვენს მეცხვარეებს.



რატომ დაიღუპნენ ატმის ხეები

იმისათვის, რომ თავის ბაღში უჩვილსაგან დაეცვა ატმის ხეები, ამერიკელმა მილიონერმა ქალმა ბარბარა მატონმა მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართა: მან განკარგულება გასცა, ხეები ძვირფასი ბეწვის ქურჭებით შეეფუთათ. მაგრამ ამ ღონისძიებამ ატმებს მაინც ვერ უშველა: ღამით ბაღში ქურდები შეიპარნენ და ხეებს უბოდიშოდ „გააძრეს“ ქურჭები.



ფოსტის უფროსის პრეტენზია

ტეხასის შტატში (აშშ) არის პატარა ქალაქი მოსკოვი. ქალაქის ასეთი ცნობილი სახელის გამო მისი მცხოვრებნი მრავალ უხერხულობას აწყდებიან. კერძოდ, მრავალი წერილი, რომლებსაც აქ სხვა შტატებიდან იწერებინ, უპირველეს ყოვლისა, იგზავნება სსრ კავშირის დედაქალაქში და მხოლოდ შემდეგ ხვდება დანიშნულებისამებრ.


ქალაქის ფოსტის უფროსს მოზეზრდა მომჩივნებისადმი ახსნა-განმარტების მიღება. და აი, მას მეტად „ორიგინალური“ აზრი მოუვიდა თავისი. მან მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თხოვნით, რათა ამ უკანასკნელმა დაითანხმოს საბჭოთა კავშირი... შეუცვალოს თავის დედაქალაქს სახელწოდება. ჭირჭირობით ამის მეტს იგი არაფერს თხოულობს.

# ქმულ-ქმული აგებანი




ვის რა მოსწონს

დედამიწის სხვადასხვა რაიონებში ადამიანთა გემოვნება ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებნი ღიღბანს დასანახავად ვერ იტანდნენ რძეს. ხშირად დასცილიან ფრანგებს, რომლებიც აღმერთებენ ბაყაყის ფეხებს, სამხრეთ ამერიკელი ინდიელები კი, რომლებიც მადიანად მიირთმევენ შემწვარ ჭიანჭველებს, უბრალო ერბოკვერცხის დანახვად ზიზღისაგან ფიქრდებიან.




საბავადი მანქანა ემორჩილება  
ხმას

ასეთი საბეჭდი მანქანა შექმნა უენვის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკმა დრიფუს-გრაფმა. ტექსტს მიკროფონში კითხულობენ. სიტყვის შემადგენელ ბგერებს ანალოზს უკეთებენ „ელექტრული ტვინი“, რომელიც თვითუფლ ბგერას აქცევს ელექტრულ სიგნალად. ამ სიგნალებს მოქმედებაში მოჰყავთ ელექტრული საბეჭდი მანქანის ბერკეტები. როგორც კონსტრუქტორი აცხადებს, მანქანას შეუძლია „ისწავლოს“ ბეჭდვა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სტენოგრაფისტის სისწრაფით.



სურნელოვანი ავტობუსი

ქ. სანტა მონიკას (აშშ) ქუჩებში ერთხანს უყვალოდ გაქრა ბენზინის სუნი. ქალაქის ავტობუსები თავიანთ გზაზე ტოვებდნენ ყვავილების სასიამოვნო სურნელებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ ერთ-ერთი ნავთობგადამამუშავებელი კომპანია ცდიდა ბენზინში დასამატებელ სითხეს, რომელიც ავტომანქანის მიერ გამოყოფილ გაზს სასიამოვნო სურნელებს აძლევდა.



ძილისმომგვრალი ტყვი

ქ. ივერდონის ახლოს (შვეიცარია) არის კემპინგი ტურისტებისათვის. ამას წინათ აქ მოხდა შემთხვევა, რომელმაც ძალიან დაინტერესა პოლიცია. ღამით ერთ-ერთ კარავში შეიპარნენ ქურდები და წაიღეს ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა. მათ ქოფაკიაც კი ვერ შეუშალა ხელი, რომელიც ამ საბედისწერო ღამეს, ავდრის გამო, პატრონებმა კარავში დააწვიეს.

ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო პოლიცია. მაგრამ დაწვრილებითმა გამოძიებამ საიდუმლოებას ფარდა ახადა. გამოიჩინა, რომ დამნაშავეები სარგებლობდნენ უხმაურო პისტოლეტით, რომელიც ძილისმომგვრელი გაზით სავსე ტყვით იყო გატენილი. კარავში შესასვლელი ოდნავ ღია იყო და ტყვიაც სწორედ აქედან „შეგზავნეს“ შიგ. რამდენიმე წამის შემდეგ ოთხი ტურისტი და მათი ძალი ღრმა ძილში იყვნენ.




გულკატილი ფოსტალიონი

ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში, ამას წინათ სამუშაოდან გააძევეს ფოსტალიონი რობერტ უორკერი. იგი თავისებურ ცენზურას აწარმოებდა: გულდასმით კითხულობდა ყველა წერილს და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წერილში ეწერა ისეთი რამ,



35



# გაქვანა უკუაწევა

მსოფლიოს IV ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად ინგლისის ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიეს.

პირველ შეხვედრაში მე არ გამოვსულვარ, როცა ინგლისელებმა ჩილის ნაკრებს 2:0 მოუგეს. აშშ-ს ნაკრებთან მატჩის დროსაც, ორიწონში ტრიბუნაზე ვიჯექი.

უველას გვეგონა, რომ ეს თამაში იოლი ვარჯიში იქნებოდა, საფუძველიც გვქონდა: სულ ცოტა ხნის წინათ ინგლისის ლიგის ნაკრებმა ამერიკელ ფეხბურთელებს ნიუ-იორკში მწარე დამარცხება აგემა.

ამჯერად ჩვენი ნაკრები შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: ვილიამსი, რამსეი, ჰიუზი, ასტონი, რაიტი, ტეისონი, ფინეი, მენენი, ბენტლი, მორტენსენი, მიულენი.

მოედანზე გასვლამდე ეს იყო მხიარული და გულდაჭერებული გუნდი.

პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ ამერიკელები არც ისე ხელწამოსაკრავი იყვნენ. უფრო მეტიც — მოედანზე თანაბარი ორთაბრძოლა მიდიოდა, თუმცა ჩვენს გუნდს თავიდანვე შეეძლო ერთი-ორი ბურთით დაწინაურებულიყო.

საუბედუროდ, მკურნალების უმრავლესობამ, როგორც ყოველთვის, სდებდა ხოლმე, სუსტების მხარე დაიჭირა. გულშემატკივრები ჩვენს წინააღმდეგ აშკარად ამხედრებულნი იყვნენ. მაინც მეჩვენებოდა, კიდევ ცოტა ხანი და გარდატეხის მომენტი დადგება-მეთქი, მაგრამ ამერიკელები სულ უკეთ და უკეთ თამაშობდნენ.

მე მგონი, ჩვენი ფეხბურთელები მოედნის უჩვეულო ზომებმა და ხარისხმაც ამოაგდო კალაპოტიდან, მოედანი ვიწრო და ოღრო-ხოღრო იყო. მაინც დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეიძლებოდა, ჩვენს ფეხბურთელებს არც ერთი გადაცემა, არც ერთი დარტყმა და საერთოდ არაფერი არ გამოსვლოდათ.

შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე ამერიკელებმა მარჯვენა ფლანგოდან შეუტეხეს, მათმა ცენტრალურმა თავდასხმებმა მაღალი ბურთი თავური დარტყმით ვილიამსის კარში ჩინებულად გაგზავნა.

ველოდი მეორე ტაიმს და გულში იმედი მიძლიერდებოდა, რომ ინგლისელები ბოლოს და ბოლოს თავის სიტყვას მაინც იტყოდნენ.

მაგრამ სულ მალე გული გამიძუდა. პირველი ტაიმის სურათი განმეორდა. რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა თამაშის დამთავრებამდე, მით უფრო იზრდებოდა დამაბულობა. ჩვენ არ უნდა წაგვეგო, უბრალოდ უფლება არ გვქონდა ასეთ მეტოქესთან დავმარცხებულიყავით — ვარწმუნებდით ერთმანეთს.

მსაჯის უკანასკნელმა ნიშანმა ჩაქუჩივით დაგვკრა თავში. IV ჩემპიონატის ყველაზე დაუჭერბელი ამბავი სწრაფად მოედო მსოფლიოს. აშშ-მ დამარცხა ინგლისის ეროვნული ნაკრები 1:0 — ეს უკანასკნელი ათი წლის სენსაცია იყო.

თავჩაქინდრული ვიჯექი. სანამ ჩვენი მოთამაშეები მიხედობდნენ დატოვებდნენ, თავი არ ამიწვია. ვერ დამეჭრებინა, რომ ასეთი რამ ოდესმე მოხდებოდა; როგორც მეტი ამხანაგებმა მითხრეს, იმ წუთში მიტკალივით ვყოფილვარ გათეთრებული. ხელებზე შემთხვევით დავიხედე. ზელები გასისხლიანებული მქონდა. როცა მატჩის უკანასკნელი წუთები იწურებოდა, მღელვარებისაგან ფრჩხილები ხელისგულებში ისე ჩამირჭვია, რომ სისხლს გამოუშუნავს.

გასახდელში წავალსლანდი. რა საჭიროა იმის აღწერა, რაც იქ ხდებოდა.

საზეიმო ბანკეტზე არც ერთ ჩვენთავანს პირში ლუკმა არ გადასცდენია. კრინტიც არავის დაუძრავს. ყოველ ჩვენგანს ერთი რამ აინტერესებდა — როგორ შეგვხვდებოდნენ ინგლისში? უურნალისტები, ნუ გეშინიათ, არ დაგვიინდობდნენ.

იმ საღამოს ჩემს მესხიერებაში კინოლენტვიით

გაიბინა თექვსმეტ წელიწადში ჩემს მიერ ნათამაშემა ყველა საერთაშორისო შეხვედრამ. მაშინ ვფიქრობდი, რომ ამერიკელებთან ორთაბრძოლის შემთხვევითი შედეგი ინგლისის ფეხბურთის რეპუტაციას ვერ შელახავდა. ახლა კი, როცა მას შემდეგ ათი წელია გასული, ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ ეს მოგვიანებით დამდგარი კრიზისის პირველი ნიშნები გახლდათ.

ზოგი ამტკიცებს, რომ ინგლისის ფეხბურთის კრიზისი 1950 წელს დაიწყო, როცა უნგრეთის ნაკრებმა ინგლისელებს საკუთარ მოედანზე 6:3 დამარცხება აგემა. ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ფეხბურთს ახალი თაობა მომავალ ათ წელიწადში თუ დაუბრუნებს ძველ ავტორიტეტს.

ამერიკელებთან მატჩის შემდეგ ორიწონიდან რიო-დე-ჟანეიროში დავბრუნდი — ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგენი ესპანელები იყვნენ. კარგად ვიცოდით — ან უნდა მოგვეგო, ან „დავბოცოილყავით“... ტურნირის გაგრძელების შანსს მხოლოდ მოგება გვაძლევდა, არამც თუ დამარცხება, საყარმო ანგარიშიც კი ინგლისში შეტაცხვნილ დაბრუნებას გვიქადდა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა: მე მარჯვენა ფრთაზე მარგუნეს ადგილი, ფინეი კი მარცხენაზე გადაიყვანეს.

ვერ ვიტყვი, რომ ესპანელების წინააღმდეგ გამოსვლა ძალიან გამხარებოდას. ჩილისა და აშშ-ს ნაკრებ გუნდებთან ჩვენი გუნდის თამაშს რომ ვუყურე, თვალნათლივ დავრწმუნდი, გუნდში საბრძოლო განწყობილება და აღმაფრენა თითქმის აღარ იგრძნობოდა.

როცა უფროსმა მწვრთნელმა უოლტერ უინერბოტომმა მატჩის წინ კრება ჩაატარა, სიტყვა მეც ვითხოვე.

თამაშის წინ რა შეიძლება უთხრა საერთაშორისო შეხვედრებში გამობრძნედილ ფეხბურთელებს? ასეთ წუთებში გვიანია რჩევა-დარიგებების მიცემა. ფეხბურთელებს თავში მხოლოდ ერთი აზრი უნდა უტრიალებდეს — ვალდებული ვარ მთელი ძალა და ღონე თამაშს მოვხმარო!

ასეთ წუთებში ფეხბურთელები ცდილობენ ყოველგვარი საზრუნავი დაივიწყონ, მთელი გონებით მომავალ შეხვედრას მიეცენ და სხვა სადარდებით თავი არ გამოილახონ. ზედმეტ რჩევა-დარიგებებს შეუძლია მათი განწყობილება მხოლოდ შეარყიოს და მეტი არაფერი.

უკანასკნელ წლებში მატჩისწინა შეხვედრები მეტისმეტად გვიგრძელდება ხოლმე. ეს კი აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ გვაკლდა მოედანზე მათგან ფეხბურთელები. ის ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელი ან მენაჯერი მატჩის წინ არიგებს როგორ ითამაშოს, ან პარტნიორს როგორ შეეწყოს — ეროვნული ნაკრებისათვის მოწინააღმდეგე არ გახლავთ.

მე, ჩემს ამხანაგებს ვურჩიე ძალდაუტანებლად ეთამაშათ, ისე როგორც თავის კლუბებში თამაშობდნენ ხოლმე ჩვეულებრივ სატურნირო მატჩებში. მხოლოდ მაშინ შეუძლია ინგლისელ ფეხბურთელს თავისი შესაძლებლობანი, ნიჭი და უნარი გამოამჟღავნოს.

და აი, 1950 წლის 2 ივლისს, ესპანელებთან ერთად, მწვანე მოედანზე გამოვიდით.

პირველ წუთებში ვიფიქრე, წარმატებას იოლად მივადწევთ-მეთქი, მაგრამ არა. არაზუსტი დარტყმები გვღუპავდა. კარში ზუსტად დარტყმული ბურთები კი ესპანელი მეკარის რამალიეტის კერძი ხდებოდა. რამალიეტის მაშინ ბრწყინვალე ფორმაში იყო.

მე თამაში კარგად ავაწყვე. ესპანელთა მარცხენა მცველის თამაშის სუსტ მხარეებს პირველსავე შეტაკებებშივე ავუღე აღღო და მოქმედების გეგმა დავისახე. თამაშის დაწყებიდან დიდ ხანს არ გველო, რომ ფლანგზე კარგად გავედი და ბურთი მორტენსენს ჩავაწოდე. ჩვენი ცენტრფორვარდი კარისკენ გაიჭრა. უკვე ვფიქრობდი, ესეც უნდა

გოლი-მეთქი, რომ მორტენსენი რომელიღაც მცველმა ზედ საჭარბო მოედანზე წააქცია... ჩვენი საპროტესტო ურთქებისათვის მსაჯს ყურადღება არ მიუქცევია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ესპანელების კარისაკენ მიღობორნი გაიჭრა და ისიც... მიწაზე გაშლართეს. მსაჯი კი... ვითომც აქ არაფერიაო, თამაში არ გაუჩერებია.

მსაჯის აშკარა არაობიქტურობამ ინგლისელებს მხნეობა წაართვა, ესპანელები კი წუთიდან წუთამდე აგრესიული ხდებოდნენ. ისინი მწვავედ და უხეშად თამაშობდნენ. ინგლისში ასეთი საქციელისათვის ფეხბურთელს მოედნიდან უბოდიშოდ გააძევებდნენ.

შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმი ჩვენი შეტევებით დაიწყო მაგრამ გოლი არ ჩანდა და არა. და იმ დროს, როცა საშორებებს ყველაზე ნაკლებად მოველოდით, ესპანელების ცენტრფორვარდმა ზარამ, ბურთი ინგლისელთა კარის ბადეში გახვია.

ესპანელებმა მაშინვე შეცვალეს საბრძოლო წესები. ერთ მომენტში ისევ მოვახერხე გასხლტომა. როცა საჭარბო მოედნის ხაზს მივადწვიე, მოწინააღმდეგე მცველმა ხელი მაისურაში ჩამავლო და გამაჩერა. რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე სურათი განმეორდა, მაგრამ გაგვიგონიათ? მსაჯის სასტენი დუშდა. რა თქმა უნდა, ესპანელები ჩვენთვის გზის გადაკეტვას აღარ მორიდებოდნენ.

თამაშისათვის განკუთვნილი დრო იწურებოდა. ტანზე ცივმა ოფლმა დამასხა. ტენის მხოლოდ ერთი აზრი მიხვრეტავდა: „ჩვენ არ უნდა წავაგოთ, მოედანი დამარცხებულივართ არ უნდა დავტოვოთ“. მაგრამ დამარცხება ვერ ავიცილეთ.

ინგლისმა — ფეხბურთის სამშობლომ — ვერ შეძლო მსოფლიო პირველობის ფინალში გასვლა; ყველაზე გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ეს სამწუხარო ამბავი „ოქროს ქალმერთისათვის“ ბრძოლის პირველსავე ცდაზე მოხდა.

\* დასასრული. იხ. „დროსა“, № 11.



# საქართველო



## „გადასასვლელი პირებისათვის“

კვირა დილას ტრამვაის ვაგონი საქმოდ გადატვირთული იყო.

— ერთი ბილეთი, გეთაყვა! — კონდუქტორს ათმანეთიანი მივაწოდე. მან თავი გადააქნია.

— მაგის ხურდა არა მაქვს — შეწუხდა იგი.

— მას რა ექნათ? — ვკითხე.

მან მხრები აიჩეჩა და მითხრა:

— მეტი გზა არ არის, უნდა ჩაბრძანდეთ ვაგონიდან.

— როგორ თუ ჩავბრძანდეთ? — ვიკვირე გაცოფებულმა, — სადგურში მივდივარ. მატარებელზე დავიგვიანო? რა ტყვიანი უოფილხართ!

— ეგ ჩემი საქმე არ არის! — მიპასუხა მან ცივად, — საკითხი ასე დგას: თქვენ უფასოდ მგზავრობის ნება არა გავქვთ. მორჩა და გათავდა! თანდთან მომემატა სიბრაზე.

— ჰო, მაგრამ, ჩემი ბრალა? მე ხომ მინდა ბილეთის აღება! — მივმართე იმ მყოფთ, ცნობის-პოუვარე სახეებით რომ გვისმენდნენ, — ამხანაგებო! განა მე მინდა უბილეთოდ მგზავრობა?

— არა, როგორ გეკადრებათ, პირიქით! — მომეხრო ცხვირკაუჭა კაცი.

— ეგ არ არის მთავარი! — შეეძვა მას მეორე მგზავრი, რომელსაც გვერდით მატარა ჩემოდანი ედგა, — თქვენ საკითხს სწორად არ აუენებთ, მთავარი ის კი არ არის, სურს თუ არა გადახდა, არამედ ის, შეუძლია თუ არა!

— ხალხო, — ჩაერია ახლა მესამე, — ეს კაცი კანონის წინაშე მართალია; არც კონდუქტორია დამნაშავე, ვინაიდან იგი არ არის ვალდებული ჰქონდეს ამდენი ხურდა; ჩემი აზრით, ეს ამხანაგი არ უნდა ჩავიდეს ტრამვაიდან, ვინაიდან იგი არა ჩვეულებრივი უბილეთო მგზავრი.

— არა ხართ სწორი! — თქვა ჩემოდანიანმა მგზავრმა, — რას ნიშნავს ჩვეულებრივი უბილეთო? ბილეთი არა აქვს და მორჩა!

ლაპარაკში მთელი ხალხი ჩაერია, ატყდა ერთი აურ-ზაური, კონდუქტორი კი ისევ მე მომიბრუნდა:

— ჩვენ ჩვენი წესი გვაქვს. როგორ მოვიქცეთ, გადაიხდით?

— თქვენ ხომ იცით... — ვთქვი დატანჯულმა.

— მაშინ, გთხოვთ, დატოვოთ ვაგონი. ჩაბრძანდით!

— არ გეთანხმებით! — თქვა ცხვირკაუჭამ.

— არც მე! — დემოწმა მესამე — როგორც უნდა იყოს თქვენი წესი, მაინც რაიმე ადამიანური უნდა მოვიფიქროთ.

— მე ინსტრუქციას ვიკავ! — თქვა კონდუქტორმა.

— მე პროტესტს ვაცხადებ! — გაცხარდა ცხვირკაუჭა, — ეს ბიუროკრატიზმია!

— ამაზე მე გაზეთში დავწერ, განგას ავტებს, საზოგადოებრივ აზრს დავარაზმავ! — დაიმუქრა მესამე.

— მე ინსტრუქციას ვასრულებ! — მტკიცედ თქვა კონდუქტორმა.

მორიგ გაჩერებასთან ჩემოდანი ავიღე და ჩახვლა დავაპირე.

— აი, ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერი, — მითხრა ცხვირკაუჭამ, — მე ადვოკატი ვარ, ამ საქმეს ჩემს თავზე ვიღებ! მოკვადები და ჩემსას გავტან. ერთ ინსტანციაში არაფერი გამოვა, მეორეს მივმართავ, მესამეს...

— ჩემი ტელეფონის ნომერიც ინებეთ! — თქვა მესამემ, — ყველაფერს თავს დავანებებ და ხვალ დილით ამ საქმეს შევუდგები. მე მივაღწევ სიმართლეს.

ორივეს უბის წინაკიდან ამოხეული ფურცლები ჩამოვართვი, თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის მადლობა გადავუხადე და კარისაკენ წავედი.

უცებ კონდუქტორმა შემაჩერა:

— შეგიძლიათ დარჩეთ ვაგონში, საქმე უკვე მოგვარებულია!

გაოცებულმა შევხედე.

— როგორ თუ მოგვარებული?

მან მიმითითა ერთ რია ტანის კაცზე, რომელიც ცოტახნის წინ ამოვიდა ტრამვაიში, — ამ ამხანაგს უთხარით მადლობა!

— ამას? — ექვით იკითხა ცხვირკაუჭამ, — რისთვის მადლობა? ხმა არ ამოუღია, როცა ჩვენ აქ ნერვები გვაწუდებოდა.

— ერთი სიტუვაც კი არ უთქვამს!

— სიტუვა, მართალია, არ უთქვამს, — ჩაილაპარაკა კონდუქტორმა, — მაგრამ ამ ამხანაგისათვის ბილეთი აიღო.

ლამარა ხელაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის პეიზაჟი. ფოტო თ. არჩვაძისა.  
მეოთხე გვერდზე: მეკვლე. ფოტო თ. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. საარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. ლურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ. მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.


საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნორედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.  
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ. მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კპპ.


ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-65 წ. გამომც. № 256, ქაღ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 4078, უფ 03503

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნონა გაურინდაშვილი — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კალთა შორის

ფოტო თ. არჩვაძისა

ს/პ. 4/99



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

